გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსიათ“ ერთი

ვერსია

№36 (1726) 30 ოქტომბერი — 5 ნოემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვენდეტა „მალაკნების ბაზართან“, 90-იანების სტილში

„შენი ცოლისთვის თითიც არ დამიკარებია... გავიტაცე იმიტომ, რომ გამწარებულიყავი... იცხოვრე იმ ტვირთით, რომ უდანაშაულო ცოლი მოკალი“...

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასება 26 ოქტომბრის არჩევნებზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

რა ქონებას ფლობს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი

მამუკა მდინარაძის ქონებრივი დეკლარაცია

შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ახალი ბაზა დაათვალიერა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრთან ირაკლი კობახიძესთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეციალური ოპერაციების მთავარი სამმართველოს ახალ, თანამედროვე სტანდარტების ბაზას ეწვია.

ირაკლი კობახიძემ და ვახტანგ გომელაურმა, ახლად აშენებული ბაზის ინფრასტრუქტურა, თანამშრომლების სამუშაო და საცხოვრებელი სივრცეები, განახლებული ავტოპარკი, თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, ასევე, სასადილო და სპორტული დარბაზები დაათვალიერეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ახალი ინფრასტრუქტურა, ასევე, აღჭურვილობა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში ხელს შეუწყობს.

პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში შინაგან საქმეთა სამინისტროს როლზე ისაუბრა და სამართალდამცველებს მადლობა გადაუხადა.

„დავათვალიერეთ ახალი ბაზა, რომელიც ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს, არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში, არის არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა, ყველა თვალსაზრისით და გამართული. ასევე, დავათვალიერეთ ახალი ტექნიკა, რომლითაც აღიჭურვა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი.

მოგეხსენებათ, რომ მთლიანად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა არის უკიდურესად მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ დაცული იყოს ჩვენი სახელმწიფო ინტერესები და ამ კუთხით, ყველა მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობას. მინდა, მადლობა გადავუხადო დეპარტამენტს ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის, მადლობას ვუხდი ამ დეპარტამენტის თითოეულ წარმომადგენელს, რა თქმა უნდა, მათზე არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა და მინდა, ყველას მივულოცო ამ ახალი ბაზის გახსნა“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ახალი ბაზა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენდა და სრულად არის მორგებული დეპარტამენტის თანამშრომლებზე.

„აღნიშნული, მაღალი დონისა და სტანდარტების მქონე ბაზა ნულიდან აშენდა. ეს არის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმის ბაზა, რომელიც, რა თქმა უნდა, შედის ამ დიდ დეპარტამენტში. ბაზის ტერიტორიაზე მოწყობილია საცხოვრებლები, სპორტული დარბაზი, სასადილო, ორკაციანი საცხოვრებლები, რომლებიც აქამდე არსად არ არსებობდა, ისინი სპეცდანიშნულების რაზმის თითოეული წევრისთვისაა განკუთვნილი. მოეწყო სასწავლო ოთახები, შევიძინეთ ახალი აღჭურვილობა და ტექნიკა, მათ შორის, წყლის ჭავლის მანქანები. დიდი ხნის წინ, წინა მთავრობის დროს შეძენილი მანქანები იყო და ჩვენ დავამატეთ, განვაახლეთ. განახლდა სპეცრაზმის შეიარაღება“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ახალი ბაზა 20 000 კვადრატულ მეტრ ფართობზეა განთავსებული.

ბაზის ტერიტორია მოიცავს 150 თანამშრომელზე გათვლილ სამსართულიან ყაზარმას, სადაც მოწყობილია თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სამუშაო და მოსასვენებელი ოთახები.

ბაზის ტერიტორიაზე, ასევე, მოეწყო სამორიგეო და საიარაღო სივრცეები. აშენდა სასადილო, ასევე, სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებითა და საშხაპეებით.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლება, ასევე, სამართალდამცველთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს.

გასულ წლებში სრულად განახლდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შეიარაღება, ასევე, სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობს დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების ბაზების მშენებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, დაახლოებით, 02:00 საათზე, კოდა-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 67-ე კილომეტრზე, წალკიდან სოფელ კოდის მიმართულებით მოძრავი „ფორდის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც 1979 წელს დაბადებული ი.გ. მართავდა, მიმდებარე ტერიტორიაზე, გაჩერებული ორი მსუბუქი ავტომანქანიდან გადმოსულ ოთხ მოქალაქეს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებებით, სამი პირი შემთხვევის ადგილზე, ხოლო მეოთხე კლინიკაში გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაულში ბრალდებული ი.გ. დაკავებულია.

პოლიციამ ქვემო ქართლში, გამოძალვაში დახმარების ფაქტზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 2001 წელს დაბადებული ს.ა. და 2006 წელს დაბადებული ი.ხ. დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში, ჯგუფურად დახმარების ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები მოქალაქის ეზოში, დაშინების გზით, ფულის გამოძალვის მიზნით, ხელყუმბარა ისროლეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ფაქტამდე, დაზარალებულს საზღვარგარეთ მცხოვრები პირები დაუკავშირდნენ და სიცოცხლის მოსპობისა და ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხის გადახდა მოსთხოვეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფ პირებს გამოძალვაში დახმარებას ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული ს.ა.– და ი.ხ. უწევდნენ.

საქმესთან დაკავშირებით გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 25 -181-ე, 236-ე და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ჩინეთის საგარეო უწყების პრესსპიკერი: „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები შეუფერხებლად ჩატარდა, ჩინეთი ქართველი ხალხის არჩევანს პატივს სცემს და მზად არის საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებისთვის“

ჩინეთი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსთან თანამშრომლობისთვის, რათა ორმხრივი ურთიერთობები შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდეს, – ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლინ ჯიანმა პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ლინ ჯიანმა აღნიშნა, რომ ჩინეთი ყოველთვის პატივს სცემს ქართველი ხალხის არჩევანს.

„ჩინეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნები შეუფერხებლად ჩატარდა. ჩინეთი ქართველი ხალხის არჩევანს ყოველთვის პატივს სცემს და გულწრფელად იმედოვნებს საქართველოს სტაბილურობასა და კეთილდღეობას. ჩვენ მზად ვართ საქართველოსთან ერთად ვიმუშაოთ ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიმართულებით“, – განაცხადა ლინ ჯიანმა.

ნინო წილოსანი: „გუშინდელი აქცია მრავალრიცხოვანი არ იყო – უკვე საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებასაც ვეღარ ახდენენ, მათი ამომრჩევლის დიდი ნაწილიც თვლის, რომ არჩევნები სამართლიანად წააგეს“

ვიხილეთ გუშინდელი აქცია, რომელიც რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი არ იყო – უკვე საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებასაც ვეღარ ახდენენ, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ამომრჩევლის დიდი ნაწილიც თვლის, რომ არჩევნები სამართლიანად წააგეს, – ამის შესახებ მედიასთან პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ნინო წილოსანმა განაცხადა.

მისივე შეფასებით, ოპოზიცია ცდილობს მუხტი შეინარჩუნოს, რომელიც მათ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებისთვის სჭირდებათ.

„პოლიტიკაში თუ სპორტულ შეჯიბრში წაგებულმა წაგება უნდა აღიაროს. დეზინფორმაციაა ის, რომ მანდატებზე უარის თქმით და სიების ჩახსნით პარლამენტს უფლებამოსილება არ ექნება, თითქოს სალომე ზურაბიშვილს – სიმბოლურ პრეზიდენტს აქვს რაიმე უფლება და შეიძლება პარლამენტის პირველი სხდომა ვერ ჩაინიშნოს. ეს დეზინფორმაცია, ერთი მხრივ, ჟურნალისტებისა და ვაი პოლიტიკოსების არაკომპეტენტურობის ბრალია, ხოლო მეორე მხრივ, იმ მავნებელი პოლიტიკოსების დამსახურებაც არის, ვინც ძალიან კარგად იცის, რომ ამ ყველაფრისგან ხეირს ვერ ნახავენ, მაგრამ ამას მაინც ამბობენ“, – განაცხადა ნინო წილოსანმა.

გია ვოლსკი: „არავითარი წინაპირობა იმისა, რომ ცესკო-ს ან სასამართლოს ობიექტურობაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ, არ არსებობს – დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და გამოძიების ჩატარების ყველანაირი რესურსი გაგვაჩნია“

არავითარი წინაპირობა იმისა, რომ ცესკო-ს ან სასამართლოს ობიექტურობაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ, არ არსებობს – ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების ყველანაირი რესურსი გაგვაჩნია, – ასეთია პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის პასუხი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მეთიუ მილერის განცხადებაზე, რომლის მიხედვით, აშშ-ს სურს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოძიება იხილონ.

ვოლსკის თქმით, წინასწარი მონაცემებით, ყველა დარღვევას აქვს სათანადო შეფასება, ყველა საჩივარი განიხილება და მას საერთაშორისო ზედამხედველობა ექნება.

„ცესკო და სხვა სტრუქტურები საკმაოდ კომპეტენტურია. არავითარი წინაპირობა, რომ ცესკო-ს ან სასამართლოს ობიექტურობაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ არ არსებობს.

ვნახავთ შედეგებს, რომლის საფუძველზეც ყველა მიხვდება, რომ დარღვევების ის ჩამონათვალი, რომელიც დღეს კონკრეტულ სუბიექტებს აწუხებთ, გამოძიებული იქნება და ეს მაღალკვალიფიციურად შეფასდება“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პრემიერი: „ჩვენი საგარეო პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა და ამ კუთხით უნგრეთს დიდი მნიშვნელობა ენიჭება – მივესალმებით ქვეყნის ძალისხმევას, დაიცვას საკუთარი იდენტობა, ქრისტიანული ფასეულობები, ჩვენც ზუსტად იგივე ფასეულობები გვაქვს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, უნგრეთმა საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებისას განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამის შესახებ მან უნგრეთის პრემიერ-მინისტრთან, ვიქტორ ორბანთან შეხვედრის შემდეგ მედიასთან გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა.

მისივე თქმით, უნგრეთი იყო საქართველოს გულმხურვალე მხარდამჭერი ევროინტეგრაციის გზაზე.

„მინდა მადლობა გადავუხადო უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, ვიქტორ ორბანს საქართველოში ჩამობრძანებისთვის. ვიქტორ ორბანი წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად იმყოფება და მისი ვიზიტი, ისევე როგორც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა, არის უმნიშვნელოვანესი. ჩვენთვის ეს თანამშრომლობა პარტნიორობა, მეგობრობა, ეფუძნება ჩვენს ხალხებს შორის ტრადიციულ, მეგობრულ ურთიერთობებს და ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.

განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ხორციელდება უნგრეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი არის ევროკავშირში ინტეგრაცია და ამ თვალსაზრისით, უნგრეთს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უნგრეთი იყო საქართველოს გულმხურვალე მხარდამჭერი ევროინტეგრაციის გზაზე და უნგრეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებისას. ამისთვის მე პირადად ვიქტორ ორბანს, ისევე როგორც მთლიანად ჩვენს უნგრელ მეგობრებს, უნგრეთის ხელისუფლებას მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. რა თქმა უნდა, მომავალშიც გაქვს მხარდაჭერის დიდი იმედი. მადლობა ვიქტორ ორბანს მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დადასტურებისთვის.

ასევე, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს საერთო ფასეულობები. ჩვენ განსაკუთრებულად მივესალმებით უნგრეთის ხელისუფლების ძალისხმევას აქტიურად დაიცვას საკუთარი ეროვნული იდენტობა, ფასეულობები, მათ შორის ქრისტიანული ფასეულობები და გაუფრთხილდეს ადამიანების პიროვნულ იდენტობას, რისთვისაც კონკრეტული ნაბიჯები იდგმება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ზუსტად იგივე ფასეულობები და ვიბრძვით იმავე ფასეულობებისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასება 26 ოქტომბრის არჩევნებზე

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ შეაჯამა 26 ოქტომბრის არჩევნები.

სადამკვირვებლო მისია წინასაარჩევნო პერიოდსა და უშუალოდ კენჭისყრის დღეს, 42 ქვეყნის წარმომადგენელი 529 დამკვირვებლით მუშაობდა. მათ შორის იყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ გამოგზავნილი 380 ექსპერტი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA) 60 პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 39-წევრიანი დელეგაცია (PACE), ევროპარლამენტის 12-წევრიანი დელეგაცია (EP) და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 38-წევრიანი დელეგაცია (NATO PA).

უცვლელად გთავაზობთ მისიის სადამკვირვებლო პირველად შეფასებებს:

ეუთო-ს (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეისა (NATO PA) და ევროპარლამენტის (EP) ერთობლივმა სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა პოლიტიკური განხეთქილების უწყვეტი გაღრმავება, ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი უთანასწორობა და მმართველი პარტიის მიერ, თავისი უპირატესობებით სარგებლობის ბევრი შემთხვევა, რამაც ისედაც უთანასწორო საასპარეზო ველი კიდევ უფრო უთანასწორო გახადა. წინასაარჩევნო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა მათი საქმიანობის სტიგმატიზება გამოიწვია, რასაც თან ერთვოდა თავდასხმებისა და დაშინების ინციდენტები. აღნიშნული, კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო დაწესებულ პოტენციურ სანქციებთან ერთად, ნეგატიურად აისახა მათ შესაძლებლობაზე საქმიანობა ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში გააგრძელონ.

„ფინანსურ რესურსებს შორის არსებული დისბალანსი, განხეთქილების გაღრმავებისკენ მიდრეკილი წინასაარჩევნო კამპანიის ატმოსფერო და ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვანი შეშფოთების საგანი იყო მთელი საარჩევნო პერიოდის განამავლობაში. თუმცა, ჩართულობა, რომელიც კენჭისყრის დღეს დავინახეთ – ხმათა მდიდარი მრავალფეროვნება, ამომრჩეველთა აქტიურობა და ადგილობრივი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი დამკვირვებლების მძლავრი წარმომადგენლობა – ფარდას ხდის სისტემას, რომელიც ჯერ კიდევ იზრდება და ვითარდება, დემოკრატიული სულისკვეთება მშენებლობის სტადიაზე“, – განაცხადა პასკალ ალიზარდმა, ეუთო-ს სპეციალურმა კოორდინატორმა და მოკლევადიან დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა.

დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ადეკვატურია და უზუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. თუმცა, წარსულში განხორციელებული ზოგიერთი დადებითი ცვლილება ბოლო დროს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შემოაბრუნა და რამდენიმე უცვლელი რეკომენდაცია გაუთვალისწინებელი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ წინა ცვლილებები ინკლუზიური საჯარო დისკუსიების შედეგად მიიღეს, ხშირმა საკანონმდებლო ცვლილებებმა (მათ შორის, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და ფართო პარტიათაშორისი მხარდაჭერის გარეშე მიღებულმა რამდენიმე ცვლილებამ), ძირი გამოუთხარა მის სტაბილურობას და პოლიტიკური სარგებლის მისაღებად ამ ცვლილებების ბოროტად გამოყენების თაობაზე შეშფოთების საფუძველი გააჩინა. ამავე დროს, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობა დაზიანდა აღსრულების შეზღუდული შესაძლებლობისა და ზედამხედველი ორგანოს პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციის გამო.

„ეს არჩევნები ხასიათდებოდა პოლიტიკური და მედია ლანდშაფტის მძაფრი პოლარიზებით, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენითა და პრეზიდენტის აპარატის წინააღმდეგ მიმართული ანტაგონიზმით. არჩევნების ხარისხი ირეკლავდა წინასაარჩევნო პერიოდის ხარისხს. ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვის, ზეწოლის ფართოდ გავრცელებული კლიმატისა და პარტიების მიერ ორგანიზებული დაშინება არჩევნებამდე და შემდეგ, განსაკუთრებით პროვინციულ რეგიონებში, სახელმწიფო უწყებების მიუკერძოებლობის გარშემო არსებული კითხვები. ჩვენ გამოვთქვით ჩვენი შეშფოთება საარჩევნო პირობების, განსაკუთრებით კი უთანასწორო საასპარეზო ველის შესახებ, რაც ძირს უთხრის შედეგის მიმართ ნდობას და გასაგებს ხდის არჩევნების შედეგებით გამოწვეულ რეაქციებს. ეს საკითხები საჭიროებს მთავრობის რეაგირებას“, – განაცხადა იულიან ბულაიმ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა კონსტიტუციით აღებული ვალდებულებაა, თუმცა მიმდინარე წელს განხორციელებულმა საკონონმდებლო ცვლილებებმა ამ მიზანს ძირი გამოუთხარეს, რამაც ამ არჩევნებზე ქალ კანდიდატთა რიცხვი მნიშვნელოვნად შეამცირა. პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში შესამჩნევი იყო კონკრეტულად ქალებისთვის გამიზნული გზავნილების ნაკლებობა; წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებში ცოტა ქალი მონაწილეობდა. გარდა ამისა, საქართველოში ქალი პოლიტიკოსები კვლავაც უპირისპირდებიან ღრმად დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და ძალადობისაც კი.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეფასებით, ეს არჩევნები მეტწილად მშვიდი იყო, ქალ კანდიდატთა რაოდენობის შემცირება გენდერული კვოტირების გაუქმების შემდეგ უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს; საარჩევნო უბნებზე ქალთა აქტიური მონაწილეობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათი როლის სასიცოცხლო მნიშვნელობას და საჭიროებს უფრო ფართო წარმომადგენლობას. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ბოლო დროს მიღებულმა

დასასრული მე-5 გვერდზე

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასება 26 ოქტომბრის არჩევნებზე

მე-4 გვერდიდან

კანონის გათვალისწინებით, იმედს ვიტოვებ, რომ მისი ზეგავლენა გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ხელახლა იქნება შეფასებული პარლამენტის ახალი შემადგენლობის მიერ, რომ ის უმნიშვნელოვანესი საქმე, რასაც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ეწევა, დაცული იყოს და არ შეწყდეს, რათა ყველას ხმა ისმოდეს“, – განაცხადა პია კაუმამ, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელმა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნები ეფექტურად ჩაატარა, თუმცა საზოგადოებაში მისი მიუკერძოებლობის აღქმა დააზიანა ბოლო დროს მიღებულმა ცვლილებებმა, უწყების წევრთა დასახელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით; ისევე, როგორც ფორმალურად პოლიტიკურ პარტიებთან არააფილირებული წევრებისა და მმართველ პარტიას შორის სავარაუდო კავშირებმა. ისტორიაში პირველად საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ხმის მიცემა ელექტრონული წესით გაიმართა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო, რათა ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღემდე მიეწოდებინა ინფორმაცია ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების შესახებ. კენჭისყრის დღე, პროცედურული თვალსაზრისით, ზოგადად, კარგად იყო ორგანიზებული და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დაძაბულობით. ხმის მიცემის ფარულობა ხშირად იყო კომპრომეტირებული და ვრცელდებოდა დაშინებისა და ამომრჩეველთა ზეწოლის ცნობები.

„პიროვნული თავისუფლების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის საყოველთაო ღირებულებების პატივისცემა ნატოში გაწევრიანების წინაპირობაა. ეს არჩევნები საქართველოს დემოკრატიისთვის კიდევ ერთი კრიტიკული გამოცდა იყო; მისი შედეგი კიდევ ერთი ასეთი გამოცდა იქნება. ახლა ჩემი მოვალეობაა, ჩემს ანგარიშში ავსახო ამ არჩევნების შესახებ ჩემი მოსაზრებები – არჩევნების ადმინისტრირებიდან ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის ფაქტებამდე, რათა ასამბლეამ შეძლოს გამოიკვლიოს, თუ ყველაზე უკეთ როგორ დაეხმარება ქართველ ხალხს, რომელმაც არაერთხელ დაგვანახა, რომ მას სურს დემოკრატიული საქართველო ევროკავშირსა და ნატო-ში იხილოს“, – განაცხადა ფაიკ ოზთრაქმა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

საარჩევნო კამპანია კონკურენტულ გარემოში, მაგრამ ნაკლებად ინტენსიურად წარიმართა; წინასაარჩევნო კამპანიის ტონი და ვიზუალური მასალა განხეთქილების გაღრმავებას უწყობდა ხელს. წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს თავისი განზრახვის შესახებ, არჩევნების დასრულების შემდეგ, ძირითადი ოპოზიციური პარტიების ასაკრძალად საქმის აღძვრის თაობაზე. დამკვირვებლები ასევე გაეცნენ ამომრჩეველთა, განსაკუთრებით საჯაროს სექტორში დასაქმებულთა და სხვა ჯგუფების, დაშინების, იძულებისა და ზეწოლის შესახებ ანგარიშებს, რაც შეშფოთებას იწვევს, რადგან ზოგიერთმა ამომრჩეველმა შესაძლოა თავისუფლად ვერ გააკეთოს არჩევანი და შეეშინდეს ხმის დასჯის შიშის გარეშე მიცემა,

„ჩვენ კვლავაც ძალზედ შეშფოთებული ვართ საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის გამო. გუშინ ჩატარებული არჩევნები, სამწუხაროდ, ამ უკუსვლის დადასტურებაა. ჩვენ კვლავაც ყურადღებით დავაკვირდებით საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რათა ვნახოთ შემდგი მთავრობა აირჩევს თუ არა ევროკავშირის ღირებულებებთან და ნორმებთან დაახლოების გზას და შეცვლის თუ არა გასული თვის უარყოფით ტენდენციებს“, – განაცხადა ანტონიო ლოპეს ისტურის უაითმა, ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

საქართველოს მედიაგარემო მრავალფეროვანი, მაგრამ მეტისმეტად პოლარიზებულია და დაფინანსების თვალსაზრისით, დამოკიდებულია პოლიტიკურ აქტორებზე. სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულმა მედიამონიტორინგმა ყველა მედიასაშუალების მკვეთრი პოლიტიკური მიკერძოება აჩვენა მაშინ, როცა მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულება კომერციულ ტელეკომპანიებში უგულებელყოფილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანდიდატთა გაშუქება მეტწილად პოზიტიური ან ნეიტრალური იყო, მან მმართველ პარტიას, სხვა პარტიებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტი დრო დაუთმო. დამატებით, ჟურნალისტთა უსაფრთხოება კვლავაც შეშფოთების უმთავრესი საგანია ბოლო დროს დაფიქსირებული თავდასხმების, დაშინებისა და ზეწოლის უწყვეტი ინციდენტების გამო.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, წინასარჩევნო კამპანიამ ქართველ ამომრჩეველს ფართო არჩევანი შესთავაზა, რაც დადებითი მოვლენაა, თუმცა არჩევნების მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისად ჩატარება არ არის საკმარისი. ქვეყანაში არსებული მძაფრი პოლარიზაცია, ამომრჩევლებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე შეუსაბამო ზეწოლის ფაქტები და დაძაბულობა, რომელიც კენჭისყრის დღეს ვიხილეთ, ნათლად გვაჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“, – აღნიშნა ოუენ მერფიმ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა.

Office for Democratic Institutions and Human Rights
OSCE ODIHR

რა ქონებას ფლობს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი

მაკა რუხაძე

ვიდრე ოპოზიცია საქართველოში, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების მტკიცებულებებს აგროვებს და „ქართული ოცნების“ 1 200 000-ზე მეტი ამომრჩევლის გულწრფელობაში ეჭვი ეპარება, „ვერსია“ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, უკვე მეოთხე წრეზე გამარჯვებული პარტიის აქტიური წარმომადგენლის, აწ უკვე წინა მოწვევის პარლამენტის წევრისა და უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ. თუმცა, მანამდე, ტრადიციულად, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

მამუკა მდინარაძის ქონებრივი დეკლარაცია

უმრავლესობის ლიდერის ბიოგრაფია

იურისტი და პოლიტიკოსი მამუკა მდინარაძე დაიბადა 1978 წლის 24 ნოემბერს, თბილისში. 2000 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი, ხოლო 2014 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტურა.

1999-2006 წლებში, კითხულობდა ლექციებს დ. გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში; 2001-2004 წლებში – საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი იყო; 2005 წლიდან სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი და ადვოკატი იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციით; 2007-2014 წლებში – შპს „თბილისის იურიდიული ცენტრის“ მმართველი პარტნიორი და ადვოკატია; 2009-2014 წლებში – (ა)აიპ „სამართლის მონიტორინგის ცენტრის“ ხელმძღვანელია; 2014 წლიდან – არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა ალიანსის“ თავმჯდომარეა; 2014 წელს – იურიდიული კომპანია „ლიგალ კონსალტინგ გრუპის“ ადვოკატი და სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელია; 2014 წლიდან – „საქართველოს პარაოლიმპიური ფონდის“ პრეზიდენტია; 2014 წლიდან – (ა)აიპ „საქართველოს იურისტთა ეროვნული ასოციაციი“ გამგეობის წევრია; 2015 წლიდან – საადვოკატო კომპანია „მდინარაძე და პარტნიორი ადვოკატების“ დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორია; 2016-2020 წლებში – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“; 2020 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

2015 წელს, მამუკა მდინარაძეს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მის სახელს უკავშირდება უპრეცედენტო პროექტი სამართლის ისტორიაში – „საადვოკატო გამოძიების სამსახური“, რომელიც მის სადოქტორო ნაშრომშიც აისახა.

მამუკა მდინარაძის დეკლარაცია

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, მამუკა მდინარაძეს ჰყავს მეუღლე, ნათია კუნჭულია და ორი შვილი – გურამი და კატო. ნათია კუნჭულია საჯარო უწყების თანამშრომელია – დეპუტატის მეუღლე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ საქმის წარმოების მხარდაჭერის სამსახურს ხელმძღვანელობს.

სულ ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია, მამუკა მდინარაძემ 2024 წლის 1 იანვარს შეავსო. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დეპუტატის მეუღლე ნათია კუნჭულიამ, თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში, 2022 წელს, მიწის ნაკვეთი შეიძინა, რომელშიც 6 000 ლარი გადაიხადა. ნათია კუნჭულიას საკუთრებაშია თბილისში, 119 კვ.მ. ფართობის ბინა ცინცაძის ქუჩაზე, რომელიც 2008 წელს, 170 000 ლარად შეუძენია. მის საკუთრებაშია 1 509 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთსოფელში, რომელშიც 2021 წელს, 9 600 ლარი გადაუხდია.

მართალია, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მამუკა მდინარაძის სახელზე უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული, მაგრამ სამაგიეროდ, ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დეპუტატი გატაცებულია მხატვრობით. მაგალითად, ლადო გუდიაშვილის ნახატში (ფურცელზე შესრულებული, ფანქრით), 2010 წელს, 2 000 ლარი გადაუხდია. 2013-2014 წლებში, მდინარაძეს ბაღდავაძის სამი ტილო შეუძენია და ჯამში, 4 200 აშშ დოლარი გადაუხდია.

დეკლარაციის შევსებისას, მამუკა მდინარაძეს სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 6080.13 ლარი და 412.41 აშშ დოლარი. ნათია კუნჭულიას სახელფასო ანგარიშზე – 2316.53 ლარი, ხოლო საკრედიტო ანგარიშზე – 1439.79 ლარი ერიცხებოდა.

ნათია კუნჭულიამ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში“, საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსის პოსტზე, ხელფასის სახით, 3035.65 ლარი მიიღო, ხოლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიციაზე, მისი წლიური შემოსავალი 59 909.35 ლარი იყო. რაც შეეხება მამუკა მდინარაძეს, ქონებრივი დეკლარაციიდან ვარკვევთ, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატში, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე, მისი წლიური შემოსალია 53 449.92 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მამუკა მდინარაძეს ორი იპოთეკური სესხი ჰქონია – 120 000 და 118 000 ლარის ოდენობით.

სხვადასხვა დროს, საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებში, მამუკა მდინარაძეს ჯერ – 55 000 ლარი; ამის შემდეგ – 50 000 ლარი; 27 000 ლარი; 20 000 ლარი და კიდევ ერთხელ – 20 000 ლარი დაუხარჯავს.

რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კონკრეტულად ამ დასკვნას იმიტომ გახსენებთ, რომ აჭარა ერთ-ერთი რეგიონია, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. აუდიტის ანგარიში, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, სახელმწიფო მაკონტროლებლებს გენერალურ პროკურატურაში არ გადაუგზავნიათ, მაგრამ საინტერესოა, რა ფინანსური დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში. ერთი შეხედვით, ფინანსურ აუდიტში სერიოზული დარღვევები და ხარვეზები არ არის, თუმცა სახელმწიფო აუდიტის შედეგად, გარკვეული ნაკლოვანებები მაინც გამოიკვეთა და მათ გამოსასწორებლად, ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებლებმა მთელი რიგი რეკომენდაციებიც კი შეიმუშავეს. დასკვნა, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტია, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

„ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად“, – ვკითხულობთ აუდიტის შესავალში, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მიუხედავად, მთელი რიგი ხარვეზები მაინც გამოვლინდა.

ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული.

„კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 1 400 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და არ არის შეფასებული. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასახულია 670 209 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივი, რომელზეც 2017-2018 წლებიდან ბრუნვა არ ყოფილა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აღნიშნული აქტივი, 2017-2018 წლებში, შესრულებული საპროექტო სამუშაოს ღირებულებაა, რომლის დაფინანსება მიმდინარე წლის ბიუჯეტითაც არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნული არაფინანსური აქტივიდან, მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა აუდიტის თარიღისთვის არ არის განსაზღვრული.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებსავარაუდოა. შესაბამისად, ისინი, შესაძლოა, არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხარვეზები გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები – 1 424 312 ლარის ოდენობით, რომელიც აღრიცხულია ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“. ეს თანხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ფულადი/ქონებრივი შენატანებია.

საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვის მიზნით, გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი, რაც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ, მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის, ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

„სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში, მუხლში – „ინვესტიციები წილობრივი ინსტრუმენტები“ თავდაპირველად აღრიცხული თანხა არ არის შეცვლილი იურიდიული პირების საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით. ამის გამო, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მე-7 გვერდიდან

მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის სისწორესა და სისრულეზე. აღსანიშნავია, რომ მაკონტროლებელი ერთეულების მიერ არ არის გატარებული ქმედითი ღონისძიებები ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან მისადაგების მიმართულებით, რაც აქტივების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს“.

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციის მიხედვით, სამინისტრომ უნდა განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად, სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი, ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

ხარვეზები ინვენტარიზაციაში

ინვენტარიზაცია არის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების, ვალდებულებების, ასევე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთან, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2022 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები.

„ააიპ „აგროსერვის ცენტრის“ საინვენტარიზაციო მასალებში მითითებული აქტივების ადგილსამყოფელი და მდგომარეობა არ ასახავს რეალობას, ასევე არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი ან შტრიხკოდი, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ფორმალური ხასიათისაა. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და სარგებლობაში პირველადი გადაცემა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული“.

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უნდა უზრუნველჰყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაცია, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

ხარვეზები ფინანსურ ანგარიშგებებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ 97% ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის აქტივებია. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 5 935 687 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრამდე პრივატიზებულია, ან გადაცემულია უვადო სარგებლობა-საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში – „დაუმთავრებელი მშენებლობა“, 2022 წლის ბოლოსთვის, შეადგენს 20 207 475 ლარს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 5 031 043 ლარის აქტივები ფაქტობრივად დასრულებულია და შესულია ექსპლუატაციაში, თუმცა ისინი შესაბამის მუხლებში არ არის გადატანილი. კერძოდ, 2 893 363 ლარი დასრულებული გზების/ხიდების მშენებლობაა, 948 738 ლარი – განხორციელებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება, ხოლო1 188 942 ლარი – ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.

„დაუმთავრებელი წარმოების მუხლში აღრიცხვის გამო, აღნიშნულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთის ხარჯი. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 5 031 043 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლის არასწორი აღრიცხვა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების არასწორ ასახვას იწვევს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) მუხლის „წმინდა აქტივი/კაპიტალი“ სისწორეზე“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ააიპ „აგროსერვის ცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლები-გრანტებით, ირიცხება 1 000 086 ლარი, საიდანაც 198 754 ლარი – საქართველოში, იაპონიის საელჩოს გრანტია. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ ვალდებული იყო, ერთი წლის განმავლობაში, მოეწყო მანდარინის სათბურ-იზოლატორები. ხელშეკრულების თანახმად, მისი შეწყვეტის, ასევე, პირობების დარღვევის ან თანხის გამოუყენებლობის შემთხვევაში, თანხა უბრუნდებოდა გრანტის გამცემს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გრანტის ფარგლებში მიღებული თანხა მხოლოდ ვალდებულებების შესრულების შემდგომ ექვემდებარებოდა შემოსავლებად აღიარებას.

ხარვეზები ცვეთაში, ამორტიზაციასა და ტრანსპორტის ხარჯებში

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთა-ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, განსაზღვროს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ ცვეთადი ამორტიზებადი აქტივის გამოყენება, ან პროდუქციის და მსგავსი ნაწარმის რაოდენობა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, ცვეთადი ამორტიზებადი აქტივების ღირებულების სისტემატური განაწილებისათვის.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ინვენტარიზაციის დროს, არ არის გადასინჯული ძირითადი და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ხოლო ცვეთის დარიცხვა განხორციელდა წინა პერიოდში მოქმედი წესის შესაბამისად, პროცენტების დარიცხვით.

ხაზინის მონაცემებით, 2022 წელს, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეულმა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 13 211 534 ლარი, მათ შორის, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი შეადგენს 3 980 912 ლარს, ხოლო ექსპლუატაციის, სათადარიგო ნაწილებისა და მათი რემონტის ხარჯები – 2 718 480 ლარს“.

მოქმედი რეგულაციებით, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება. ამასთან, ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ რიგ შემთხვევებში, სათანადო დოკუმენტური საფუძვლების გარეშე გაცემული საწვავი აღიარებულია ხარჯად, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რვა შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ჩასხმულია 405 ლიტრი და 1 467 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნულ შემთხვევებზე, შესაბამისმა უწყებამ სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინა დოკუმენტური დადასტურება ავტომობილის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს კი საწვავის ხარჯვაზე დაწესებულ კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

სამართალი

№36 30 ოქტომბერი 2024 წ

ვენდეტა „მალაკნების ბაზართან“, 90-იანების სტილში

„შენი ცოლისთვის თითიც არ დამიკარებია... გავიტაცე იმიტომ, რომ გამწარებულიყავი... იცხოვრე იმ ტვირთით, რომ უდანაშაულო ცოლი მოკალი“...

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, ე.წ. მალაკნების ბაზართან, ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. გარდაცვლილი ტატო ფირცხალაიშვილია და მკვლელობიდან რამდენიმე წუთში, უვკე ყველა მიხვდა და ყველამ იცოდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა, ან ყოფით ნიადაგზე მომხდარი და სპონტანუტად ჩადენილი დანაშაული. ეს იყო კარგად დაგეგმილი შურისძიება და მერე გაირკვა, რომ თავდასხმას გარდაცვლილიც ელოდა – სასწრაფო დახმარების ექიმებმა მას ჯავშან-ჟილეტი გახადეს. დაჭრილია თავდამსხმელიც, რომელსაც საპასუხოდ, სწორედ გარდაცვლილმა ესროლა ანუ ფირცხალაიშვილი დადიოდა ჯავშან-ჟილეტით და იარაღით, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ იქნებოდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილთან, 1993 წელს დაბადებულ ი.ბ.-სთან ერთად, სამართალდამცავებმა დააკავეს 1987 წელს დაბადებული გ.ბ., 1988 წელს დაბადებული ჯ.ფ. და 1987 წელს დაბადებული დ.მ. პროკურატურა მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება და ოთხივე მათგანს სასამართლომ წინასწარი ორთვინი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოზე, მკვლელობაში ბრლდებულის მეგობრებმა თქვეს, რომ დარბაზში ტყუილად იმყოფებიან, რომ ბრალდება დასაბუთებული არ არის და სავარაუდოდ, იმას გულისხმობდნენ, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. არადა, კანონით, ერთადერთი შემთხვევა, როცა ამის გამო, შესაძლოა, არ დაგაკავონ, ის გახლავთ, როცა საქმე ოჯახის წევრს ეხება.

ჩვენი ინფორმაციით, ადრე, ტატო ფირცხალაიშვილმა მკვლელობაში ბრალდებული დაჭრა, ამის გამო, ციხეშიც იჯდა და სავარაუდო შურისძიებასაც სწორედ ამიტომ ელოდა. სამართალდამცავები კი ამბობენ, ბრალდებულმა მკვლელობა ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინაო, მაგრამ რატომღაც გვგგონია, რომ ეს მაინც არ იქნებოდა სპონტანურად გაკეთებული, მით უმეტეს, მოწმეების ჩვენებით, მკვლელი მსხვერპლს ელოდა, შემდეგ მანქანა დააჯახა, მერე მანქანიდან გადმოვიდა, დაზარალებულს ცემა დაუწყო და ისროლა. საქმე შეიძება გახსნილად ჩაითვალოს, დაკავებულებსაც გაასამართლებენ, მაგრამ კიდევ ერთ ქართველს ვერავინ გააცოცხლებს.

ზოგადად, ე.წ. ვენდეტა უფრო პოპულარული 90-ან წლებში იყო, როცა თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და არაერთი საძმო თუ ბანდა დათარეშობდა. მაშინ იყო „მხედრიონიც“ – შეიარაღებული ფორმირება, სადაც არაერთი ღირსეული ვაჟკაცი ირიცხებოდა, თუმცა ამ გასამხედროებულ ორგანიზაციას ასობით ნაძირალაც მიეკედლა და „მხედრიონის“ სახელით, საქართველო ჩვეულებრივ სასაკლაოდ აქციეს.

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ მაშინ მოხდა და ძალიან, ძალიან ჰგავს გასულ კვირას მომხდარ მკვლელობას. ისიც შურისძიების ნიადაგზე იყო და თუ ამ შემთხვევაში, მოტივზე თითქმის არავინ საუბრობს, მაშინ მოტივის შესახებ, ლამის მთელმა თბილისმა იცოდა.

ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, მარტივად დაიწყო. ბიჭს გოგო ბავშვობიდან უყვარდა, არც გოგო იყო გულგრილი და მათ სწორედ იმ ავბედით 90-იანებში იქორწინეს. მერე დაიწყო სამოქალაქო ომი, მერე გაჭირვება და ბიჭიც იძულებული გახდა, ერთ-ერთ საძმოში გაერთიანებულიყო, რადგან... გადარჩენის სხვა გზას ვერ ხედავდა და ასე იყო ძალიან ბევრი, საძმოსა თუ ბანდაში სწორედ იმის გამო მიდიოდა, რომ გადარჩენილიყო. მერე კი, ისე გამოვიდა, რომ ეს ბიჭი საძმოს ერთ-ერთი მეთაური გახდა, ცოტა ძალაუფლება იგრძნო, ცოტა ფინანსურადაც მოძლიერდა და მიხვდა, რომ ეს ქვეყანა ძლიერებს ეკუთვნის. ამიტომ, რბილ ხასიათში ცოტა სისასტიკეც შეეპარა და ეს „ცოტა“ მალე იმდენად დიდი გახდა, რომ მისი უკვე ყველას ეშინოდა. ის აღარ ინდობდა არავის, ვინც კი გზაზე ეღობებოდა და მისი საძმო გახდა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი საქართველოს მასშტაბით. ვისაც ჰგონია, რომ სამოქალაქო ომი მხოლოდ თბილისში იყო, ძალიან ცდება – ის იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, უბრალოდ, ყველაზე მძაფრად თბილისში იგრძნობოდა.

ჰოდა, ჩვენი გმირის საძმო კახელებისას დაეჯახა (სპირტის ბიზნესი ვერ გაიყვეს) და დაჯახებას ვინ ჩივის, ორივე მხრიდან ოთხი ადამიანი მოკვდა, მათ შორის, კახეთის ერთ-ერთი საძმოს მეთაურის ძმა. თბილისში ხვდებოდნენ, რომ ყველაფერი ეს მარტივად არ ჩაივლიდა და კახელების მხრიდან შურისძიებას ელოდნენ, მზად იყვნენ, ცალ-ცალკე არ დადიოდნენ, შტაბად ქცეული ოთხოთახიანი ბინიდან თითქმის ცხვირს არ ჰყოფდნენ, მაგრამ უბედურება იქ გამოჩნდა, სადაც არავინ ელოდა – კახელებმა თბილისის საძმოს მეთაურის ცოლი გაიტაცეს, ის გოგო, რომელზეც საძმოს შეფს მზე და მთვარე ბავშვობიდან ამოსდიოდა. ეს უკვე, „დაუკრეფავში“ გადასვლა იყო, მაგრამ მაშინ ბევრი და ხშირად გადადიოდა „დაუკრეფავში“. იმის მიუხედავად, რომ საძმოს მეთაური თმას იგლეჯდა და ყველას მოკვლით ემუქრებოდა, თბილისელებმა პირდაპირი იერიშის მიტანა ვერ გაბედეს. ამას ორი მიზეზი ჰქონდა – ჯერ ერთი, არ იცოდნენ, სად მალავდნენ გატაცებულს და მეორეც, რომ სცოდნოდათ, კახეთში ჩასვლა და იქ სროლა მარტივი საქმე არ იყო – კახელები იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შეიარაღებულები იყვნენ და იქიდან ცოცხლად გამოღწევის შანსი თითქმის არ იყო.

ასე გავიდა ორი დღე და მესამე დღეს გატაცებული ქალი შავი „ვაზ-21 07“-დან, პირდაპირ, თბილისის საძმოს შტაბის წინ გადმოაგდეს. მანქანა ადგილს მოსწყდა და თვალსაც ისე მიეფარა, ვერავინ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. ქალი ბიჭებმა ხელში აყვანილი შეიყვანეს შტაბში და შეფიც მალე მოვიდა. ის ცოლს მიეფერა, შემდეგ კი, შტაბში ტელეფონის ზარი გაისმა – მაშინ ხაზის ტელეფონები იყო და მართალია, ბევრთან არ მუშაობდა, საძმოების ხაზი მუდმივად გამართული და მუშა მდგომარეობაში იყო. ყურმილს გატაცებული გოგოს ქმარი დასწვდა, გუმანით იგრძნო, მას ურეკავდნენ, ყურმილი ყურზე მიიდო და გაფითრდა.

„შეგიძლიათ, მოეშვათ, შური უკვე ვიძიე“, – ყურმილის მეორე ბოლოდან მოკლული კახელის ძმა ლაპარაკობდა და ბოლოს გადაიხარხარა კიდეც. ტელეფონი გაითიშა, თბილისის საძმოს მეთაური, დაახლოებით, 30 წამი უსმენდა „ტუ, ტუ, ტუ“-ს, შემდეგ ყურმილი დაკიდა, ცოლს შეხედა და ამოიხრიალა – „მარტო დამტოვეთ!“ ოთახიდან ყველა გაიკრიფა. გოგონა უსაყვარლეს ქმარს აცრემლებული უყურებდა და პირველად ხედავდა ასე არეულს, ასე თითქოს გაბრაზებულს და თითქოს შეშინებულს. ბიჭი ხმას არ იღებდა, უბრალოდ, უყურებდა, მერე თავი ასწია, ტელეფონს გახედა, ქამრიდან იარაღი ამოიღო და... გოგოს მიმართულებით სამჯერ გაისროლა. სროლაზე მეგობრები შემოვარდნენ, თითქოს, გუმანით მიხვდნენ, რაც მოხდა, მაგრამ ახლა საჭირო იყო, მეთაური გადაერჩინათ, რომელმაც იარაღიანი ხელი საფეთქლისკენ წაიღო. არ ასროლინეს, გაკოჭეს და ვენაში ნარკოტიკის დიდი დოზა შეუშხაპუნეს. მალე ყველამ იცოდა, რომ გატაცებული გოგო კახელებმა მოკლული დააბრუნეს... სინამდვილეში კი...

ამ ამბიდან მალევე, საძმოები აილაგმა, ვიღაც დაიჭირეს, ვიღაცამ გაქცევა მოახერხა, ვიღაცამ ბიზნესი ააწყო და დაცვა დაიყენა. ასე იყო თუ ისე, შურისძიება კიდევ მრავალი წელი გაგრძელდა (ზოგ შემთხვევაში, დღესაც გრძელდება) და აღარავის უკვირდა, საძმოების დაშლის შემდეგ მომხდარი გარჩევები, ვიღაცების დასჯა, ვიღაცების პატიება... ცოლის მკვლელს კახელები არ ავიწყდებოდა და მომენტს ელოდა, როცა მის შეურაცხმყოფელს საკადრის პასუხს მიაგებდა, მაგრამ კახელი უკვე საზღვარგარეთ იყო და იქ კიდევ მოძებნა არ გამოდიოდა.

გავიდა წლები, საზღვარგარეთ ცოლის მკვლელიც წავიდა, მუშაობა დაიწყო და ორიოდე თვის შემდეგ, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში იმას გადაეყარა, ვისაც მანამდე ეძებდა, ვის მოკვლაზეც ოცნებობდა. კახელმაც იცნო მოსისხლე, მიხვდა, რამეს თუ არ იზამდა, სიცოცხლის ბოლო წამებს აითვლიდა, ამიტომ გაიქცა და მოძრავ ავტობუსს ჩამოეკიდა. რაც შემდეგ მოხდა, ალბათ, ყველა სცენარისტს შეშურდებოდა. სავარაუდოდ, კახელმა გაიგო, სად ცხოვრობდა მისი შურისმაძიებელი და წერილი გაუგზავნა.

„მე ამ ქალაქიდან და ქვეყნიდანაც მივდივარ. იმედია, ვეღარასოდეს მნახავ და იმის გამო, რომ ჩემი ძმა მოკალი, ძმა, რომელიც ჩემი გაზრდილი იყო, ძმა, რომელიც ლამის სრულწლოვანობამდე ლოგინში გვერდით მეწვინა, ძმა, რომელსაც ღამეებს ვუთენებდი მხოლოდ იმის გამო, რომ მეყურებინა, როგორ მშვიდად ეძინა, მე ახლა მეორედ მოგკლავ. შენი ცოლისთვის თითიც არ დამიკარებია, ამას დაადასტურებს ყველა. მას ის ორი დღე ჩემი ცოლის გვერდით ეძინა. უბრალოდ, გავიტაცე იმიტომ, რომ გამწარებულიყავი და მერე დაგირეკე იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ეჭვში გეცხოვრა. ახლა კი, იცხოვრე იმ ტვირთით, რომ უდანაშაულო ცოლი მოკალი“...

მას შემდეგ, გამწარებული კაცი ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორეში იმის იმედით დადიოდა, რომ მისი ცხოვრების გამმწარებელს სადმე გადაჰყროდა, თუმცა ვერ მოახერხა. კახელი ესპანეთში დაიღუპა – მშენებლობის დროს, მშენებარე კორპუსიდან გადმოვარდა და როგორც ამბობენ, სული მიწამდე არ დაჰყოლია.

საბედისწერო 30 ათასი ლარი

როგორ მოკლა მეზობელმა კიბოთი დაავადებული ქალბატონი

ბათო ჯაფარიძე

სიმსივნე – დიაგნოზი, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრისთვის განაჩენის ტოლფასია. თანამედროვე მედიცინა ახერხებს, ეს ვერაგი დაავადება ადრეულ სტადიაზე შეაჩეროს, თუმცა თუ მეტასტაზები მთელ სხეულშია მოდებული, გადარჩენის შანსი მცირეა. დიგანოზის გაგების შემდეგ, ყველას სხვადსხვაგვარი რეაქცია აქვს – ზოგი ბრძოლას იწყებს (და ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი), ზოგი ბედს ეგუება, ზოგი ბოროტდება, ვიღაც სანათესაოს შემოივლის ხოლმე, ყველა რომ ნახოს, ყველას მოეფეროს. იშვიათად, მაგრამ მაინც არის სუიციდის შემთხვევები, როცა ადამიანები ფსიქოლოგიურად ვერ უძლებენ დიაგნოზს, ტკივილს და... ეს ყველაზე ცუდი გადაწყვეტილებაა.

სწორედ ასეთი სუიციდის შემთხვევის განხილვა დაიწყეს სამართალდამცავებმა, როცა განყოფილებაში უბნის რწმუნებულის პატაკი შევიდა, ჩვენს კორპუსში, ქალმა ვენები გადაიჭრაო. შემთხვევის ადგილზე გამომძიებლები უხალისოდ გავიდნენ, არავის სურდა, არ ეხალისებოდა ასეთ საქმეზე მისვლა, მაგრამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება აუცილებელი გახლდათ.

„დედაჩემს სიმსივნე ჰქონდა, ბოლო სტადიის და დღეებს ითვლიდა. ჰო, მას ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები, იტანჯებოდა და ყოველი დღე, როგორც ჩემთვის, ისე მისთვის, ჯოჯოხეთი იყო, მაგრამ არ მჯერა, რომ თავი მოიკლა. ჯერ ერთი, ის ვერ იტანდა სისხლს და ვენებს არ გადაიჭრიდა, თუ მაინცდამაინც ამას გადაწყვეტდა, წამლებს დალევდა და ისე წავიდოდა. მეორეც, ჩემი ბიზნესი, ბინა, ყველაფერი დედაზეა და დღეს ნოტარიუსთან უნდა წავსულიყავით, გაფრთხილებული გვყავდა, ყველაფერი ჩემზე უნდა გადმოეფორმებინა, მერე, როცა გარდაიცვლებოდა, საბუთებზე რომ არ მერბინა. ადრეც მითხრა, მაგრამ იმის იმედით, რომ გამოჯანმრთელდებოდა, არ დავთანხმდი. ახლა კი... ჰოდა, როგორ გგონიათ, სამი საათით ადრე, თავს მოიკლავდა? ის მოკლეს, მაგრამ ვინ და რატომ, არ ვიცი. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, სახლიდან 30 ათასი მანეთია გამქრალი. დედა კარს არასდროს აღებდა, არც კეტავდა, მე მქონდა გასაღები, ვაღებდი და ვკეტავდი. ჰოდა, ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ ჯიუტად გავიმეორებ – დედაჩემს თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს“, – ეს განცხადება გარდაცვლილის შვილმა გააკეთა და სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ საქმე არცთუ მარტივი იქნებოდა.

შვილის განცხადების საფუძველზე, ექსპერტმა შემოსასვლელი კარი შეამოწმა და განაცხადა, რომ ის დუბლიკატით იყო გაღებული ანუ ბინაში ვიღაცამ შეაღწია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შვილის ვარაუდი სიმართლესთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა შვილს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, ვისაც გასაღების ასლის გაკეთება შეეძლო. ბინის დათვალიერების შედეგად, წაღებული სხვა არაფერი აღმოჩნდა და რაც მთავარია, სამართებელზე, რომლითაც ვენები იყო გადაჭრილი, არ იყო გარდაცვლილის თითის ანაბეჭდები.

„ეს მამაჩემის ნაქონი სამართებელია, რელიქვიასავით უფრთხილდებოდა დედა და მუდმივად აბაზანაში ჰქონდა. ასე ამბობდა, რომ შემოვდივარ და ვხედავ, ასე მგონია, მამაშენი ცოცხალიაო. მით უმეტეს, ამ სამართებლით არ მოიკლავდა თავს“, – ამბობდა ბიჭი და უკვე ძალოვნებმაც გადაჭრით იცოდნენ, რომ ეს არ იყო თვითმკვლელობა და საქმე კარგად მოფიქრებულ მკვლელობასთან ჰქონდათ.

„შვილი უნდა გამოვრიცხოთ. ჯერ ერთი, ყველაფერი ისედაც მისი იყო, დედისერთაა და მეორეც, მას რომ ამბავი არ აეტეხა, მომხდარი თვითმკვლელობად დაფიქსირდებოდა. ქალს მოტივიც ჰქონდა – ბოლო სტადიის სიმსივნე და გაუსაძლისი ტკივილი, მაგრამ ბიჭმა თავად თქვა, რომ ეს მკვლელობა იყო. რაც მთავარია, მან დაასახელა თანხა, რომელიც გაქრა და რეალურად, ის თანხაც ხომ მისი იყო. უნდა ვეძებოთ ვინმე, ვინც იცოდა, რომ ეს თანხა ინახებოდა“, – გამომძიებელი თანამშრომლებს ძიების მიმართულებაზე ესაუბრებოდა.

რა თქმა უნდა, გამოჰკითხეს მეზობლებიც, რომლებმაც გამოძიებას საინტერესო ვერსია მიაწოდეს. თურმე, ქალი უბანში, ერთ-ერთ ლოთს პატრონობდა. როგორც ამბობდნენ, ახალგაზრდობაში ლოთი მაგარი ბიჭი იყო, უბნის გოგოებს ძალიან მოსწონდათ, მერე კი... მერე რაღაც აერია, გალოთდა და ხან სად ეძინა, ხან – სად. მეზობლებმა ისიც თქვეს, მხოლოდ ფულს კი არ აძლევდა, ტანსაცმელსაც კი ურეცხავდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იმ კაცს ლოთობისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდაო. ჰოდა, ის ლოთი, ერთ-ერთმა მეზობელმა მაშინ დაინახა, როცა მკვლელობის დღეს, გარდაცვლილის კარზე აკაკუნებდა.

„სხვა ნებისმიერ რამეს შევიტენი, იმ ქალის მკვლელობას კი – არა. მართლა მთელი ცხოვრება მპატრონობდა. დილით კი იმიტომ ავედი, რომ წინა დღეს მითხრა, ძველმანებს რომ ვალაგებდი, კარგი პიჯაკი ვიპოვე, ამოდი, მოგცემო. სულ სამჯერ დავაკაკუნე, მერე ვიფიქრე, რომ ეძინა და გამოვბრუნდი. ვინ იცის, იმ დროს მკვლელი, შესაძლოა, სახლში იყო, მაგრამ მე არავინ დამინახავს. როცა სადარბაზოდან გამოვედი, მაშინვე მაღაზიისკენ გავწიე, დილის დოზა უნდა მიმეღო“, – განაცხადა კაცმა.

გამომძიებელი მიხვდა, რომ ეს კაცი მკვლელი არ იყო და რაც მთავარია, წესითა და რიგით, მას არ უნდა ჰქონოდა სხვა გასაღები. ამ გასაღების ამბავი, გამომძიებელს მოსვენებას არ აძლევდა, ხვდებოდა, რომ ვისაც გასაღები ჰქონდა, მკვლელიც ის იყო, მაგრამ ბიჭი იფიცებოდა, გასაღები ჩვენს გარდა, არავის ჰქონდა, საკეტს სამი ცალი აქვს, ერთი მუდმივად უჯრაში იდო, მეორე მე დამქონდა და მესამე – დედასო. მართლაც, სამივე გასაღები ადგილზე იყო, მაგრამ ექსპერტი ამტკიცებდა, მეოთხეც არსებობსო და გამოძიებას არ ჰქონდა საფუძველი, მისთვის არ დაეჯერებინა.

ძიება ჩიხში შევიდა, ვერც შვილი ამბობდა საიმედო რამეს და ზოგადად, ისეთი ჩაკეტილი წრე იყო, წესითა და რიგით, არავის უნდა სცოდნოდა თანხის ამბავი. ხომ ცხადი იყო, რომ ქალი სწორედ ფულის გამო მოკლეს, მაგრამ ვინ? ვინ იცოდა, რომ სახლში ეს თანხა ინახებოდა და რაც მთავარია, ვინც იცოდა, მას გასაღები ჰქონდა – გასაღების ასლი. გარდაცვლილის შვილის სამსახურშიც შეამოწმეს ხალხი, მაგრამ ბიჭი ამტკიცებდა, აქ თანხაზე ხმა არ ამომიღია, თანაც, გასაღები მუდმივად საქამრეზე მაქვს დაკიდებული და ასლს ვერავინ გადაიღებდაო. სამართალდამცავები ხვდებოდნენ, რომ რაღაცა ეპარებოდათ, რომ ისე არ სვამდნენ კითხვას, როგორც საჭირო იყო, ან იმ კითხვას არ სვამდნენ, რომელიც ბიჭს გაახსენებდა, სად და ვის შეეძლო ასლის გადაღება. ისიც თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, სად ჰქონდა დაშვებული შეცდომა მას, ან დედამისს. ჰო, დედამისს და ძიებაც სწორედ გარდაცვლილის გარემოცვაზე გავიდა, მაგრამ... საინტერესო არც იქ იყო რამე. გამოძიებამ ახლიდან სთხოვა ექსპერტს, ეგებ, საკეტი კიდევ ერთხელ შეამოწმო, ხომ არ შეგეშალა და სხვა მიმართულებით ხომ არ ვეძებთო. ჰოდა, როცა ექსპერტი საკეტს უტრიალებდა, მეზობელმა კიბეზე აიარა და იკითხა – „კიდევ გაფუჭდა საკეტი?“ ექსპერტმა გამომძიებელს დაურეკა.

„დაახლოებით, ერთი კვირის წინ, გარდაცვლილს კარში გასაღები გაეჭედა. ხელოსანი გამოიძახა. პრინციპში, რაღა ხელოსანი, მე მივეცი ნომერი, წინა კორპუსში ცხოვრობს, ჩხირკედელაობა უყვარს. მოვიდა, გაუკეთა და წავიდა“, – თქვა მეზობელმა.

გამომძიებელს ეჭვმიტანილის ბინაში ჩხრეკის ჩატარების უფლების მიღება არ გასჭირვებია. სახლში ფული ვერ იპოვეს და ავტოფარეხში გადაინაცვლეს. თანხა არც იქ იყო, თუმცა ნახეს გასაღებების აცმა და ექსპერტიზაზე გაუშვეს. დღის ბოლოს, ექსპერტმა ის გასაღები იპოვა, რომელიც გარდაცვლილის კარს აღებდა.

„რაღა აზრი აქვს დამალვას? კი, საკეტი მე გამოვცვალე და ის იყო, წამოსვლას ვაპირებდი, ქალმა ვიღაცას ტელეფონში უთხრა, 30 ათასი ლარი მაქვსო. ამის მერე შემიჩნდა ეშმაკი და სპეციალურ პლასტირზე გასაღების ასლი გადავიღე, მერე დავამზადე და... დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ დროს სახლში არ იმყოფებოდა. შევედი, სავარაუდოდ ეძინა და თავზე სწორედ მაშინ დამადგა, როცა ფულს მივაგენი. შემომხედა, მიცნო და გული წაუვიდა. სხვა გამოსავალი არ მქონდა, აბაზანაში შევიყვანე და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. არ მეგონა, თუ მიპოვიდით, მაგრამ, თავის დაზღვევის მიზნით, ფული იმავე დღეს, სოფლის სახლში წვიღე და იქ დავმალე. ჩადენილს ძალიან ვნანობ და იმედი მაქვს, აღიარებით ჩვენებას ანგარიშს გაუწევთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

აღიარებითი ჩვენების მიუხედავად, სასამართლომ დაკავებულს ბრალი განზრახ მკვლელობაში დასდო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

დღეს, საქართველოს ნებისმიერ მუნიციპალიტეტში უამრავი საცხობია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საშაურმეებს, ლამის მთელი საქართველო მიაქვს და ისიც უნდა ვივარაუდო, რომ მოქმედ საცხობებს შემოსავალი აქვთ. სხვაგვარად, მათი არსებობა აზრს დაკარგავდა და მფლობელები, უბრალოდ, დახურავდნენ. არის ბრენდული საცხობებიც, ისეთებიც, რომლებიც თითქოს არაფრით გამოირჩევიან, მაგრამ გემრიელ პურ-ფუნთუშეულსა, თუ ხაჭაპურს აცხობენ. ზოგისგან მხოლოდ სახელია დარჩენილი და რეალურად, იქ ნაყიდი პროდუქტი გემრიელი არაა.

უფროსი ძმის სისხლიანი შურისძიება

„ფული იმაში გადამიხადა, რომ მისი ძმის მანქანაში, როგორმე, სისხლიანი დანა დამედო“

ერთ-ერთი ასეთი საცხობის მეპატრონე საავადმყოფოში ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად მიიყვანეს. მას თავზეც ჰქონდა ტრავმა და ექიმები ამბობდნენ, ტრავმა ან დაცემისას მიიღო, ან თავში ჩაარტყეს და მერე დანით მიაყენეს ჭრილობებიო. ეს ექიმთა ვარაუდი იყო და ექსპერტიზა ზუსტად იტყოდა, რა და როგორ მოხდა. მანამდე კი, დაზარალებულის გადარჩენა იყო საჭირო, რომელმაც ბევრი სისხლი დაკარგა და უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„რად გინდათ, დამნაშავის ძებნა? ხედავთ, დაზარალებულის საცხობს კიდევ ერთი საცხობი აქვს მიდგმული და ისინი კონკურენტები არიან. ერთმანეთს ხან მზარეულს ართმევენ, ხან – მცხობელს, მუდმივად დაძაბულობა აქვთ, რამდენჯერმე ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა. ჰოდა, ის მოიშორებდა კონკურენტს“, – უთხრეს საცხობის გარშემო მდგარმა გარე მოვაჭრეებმა.

ძალოვნებმა მეორე საცხობის მეპატრონეზე ძებნა გამოაცხადეს, გაიგეს მისი ავტომანქანის ნომერი და სამართალდამცავებმა მაშინ შეაჩერეს, როცა ქალაქში გადაადგილდებოდა. ჩაატარეს მისი მანქანის ჩხრეკა და... უკანა სავარძელზე, საზურგესა და დასაჯდომს შორის ჭრილში, სისხლიანი დანა იპოვეს. მამაკაცს არ უარუყვია, რომ დანა მისი იყო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოხვდა მის მანქანაში და რაც მთავარია, რატომ იყო მასზე სისხლი? რა თქმა უნდა, ის დააკავეს და განყოფილებაში გადაიყვანეს, დანა კი ექსპერტებს მისცეს. ცოტა ხანში, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ სისხლი დაჭრილ მამაკაცს ეკუთვნოდა. საქმე შეიძლებოდა გახსნილად ჩაეთვალათ.

„რაა? ვინ დაჭრეს? როდის? როგორ? ჩვენ ხომ გუშინ ხელშეკრულება გავაფორმეთ, ჩვენი საცხობები გავაერთიანეთ... ჰო, ხანგრძლივი დავის შემდეგ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ საცხობების გაერთიანება და საერთო ბიზნესის წარმოება ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ასე, ცალ-ცალკე ტილაობა. როგორ გგონიათ, პარტნიორობა გავაფორმეთ, დავლაგდით და მერე მისი მოკვლა გადავწტყვიტე? იმედია, გადარჩება და იტყვის, დანა ვინ დაარტყა. რაც შეეხება დანას... კი, ის ჩემია, მე ორი ავტოფარეხი მაქვს, ძველი და ახალი. ძველში ხარახურა მიყრია და დანაც იქ იყო. დღეს, როცა საცხობში მივედი, იქიდან გამოსულს, გზაზე ახალგაზრდა ბიჭი გადამიდგა, მემუდარა, ვაგზალზე გამიყვანე, მაგვიანდება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო. ისე მემუდარებოდა, უარი ვერ ვუთხარი, დიდი ჩანთა ჰქონდა და ჩანთიანად უკან დაჯდა. ჩვენი საცხობიდან ვაგზლამდე 2-3 კილომეტრია, გავიყვანე, ფულს მთავაზობდა და არ გამოვართვი. დარწმუნებული ვარ, იმან დადო დანა, მაგრამ როგორ მოხვდა მის ხელში ჩემი დანა, ეგ ნამდვილად არ ვიცი. იმ ავტოფარეხზე ძველი ბოქლომი მიკიდია, მცოდნე კაცი ლურსმნითაც კი გააღებს, მაგრამ... ვიღაცას ძალიან უნდოდა, რომ მე დაგეჭირეთ და გამოუვიდა კიდეც“, – განაცხადა დაკავებულმა.

ძალოვნები მაინც მშვიდად იყვნენ, ექიმები ამტკიცებდნენ, დაზარალებული აზრზე მალე მოვა და დაკითხვასაც მოახერხებთო. სწორედ მას უნდა ეთქვა, ვინ და რატომ გაიმეტა მოსაკლავად და მართლაც, მეორე დილით, პაციენტს საუბარი შეეძლო.

„საცხობიდან გამოვედი, ტროტუარს დავუყევი და თავში რაღაც მომხვდა. მერე, აზრზე საავადმყოფოში მოვედი და აქ მითხრეს, რომ დანით დამჭრეს, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო და რაც მთავარია, არ დამინახავს, ვინ ჩამარტყა თავში. რაც შეეხება პარტნიორს, რომელთანაც ხელშეკრულება გავაფორმე, ამ გადმოსახედიდან, გამორიცხული მგონია, მას ეკადრა. ჰო, ჩვენ ყველაფერზე შევთანხმდით და თანაც ღირსეული კაცია. თუ მან ჩემი მოკვლა გადაწყვიტა, ჩავთვლი, რომ ადამიანების ცნობა არ ვიცი“, – განაცხადა მან.

ძალოვნებმა იცოდნენ, იმის მიუხედავად, რომ დაკავებულის მანქანაში დანა ნახეს, მყარი მტკიცებულებები არ ჰქონდათ. მართალია, დანაზე ბრალდებულის ანაბეჭდები იყო, მაგრამ ძველი, ახალი ანაბეჭდები არ ჩანდა ანუ დამნაშავე ხელთათმანებით მოქმედებდა და თუ მკვლელობის მცდელობა სწორედ დაკავებულმა ჩაიდინა, მას ზუსტად ეცოდინებოდა, რომ დანაზე მისი ანაბეჭდები იქნებოდა, გაწმენდდა და... მკვლელობის მცდელობის იარაღით, მით უმეტეს, რომელზეც სისხლი ეცხო, ქალაქში არ იმოძრავებდა ანუ იყო ვიღაც მესამე, ვისაც ეს ყველაფერი აწყობდა და...

„იქვე, გვერდით, კიდევ ერთი საცხობია. იქნებ, მისი მეპატრონეა ყველაფრის ორგანიზატორი? ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა და ორივე კონკურენტს იშორებდა. სავარაუდოდ, მას არ ეცოდინებოდა, რომ ისინი გაერთიანდნენ და შერიგდნენ, ამიტომ იფიქრა, რომ მათი შუღლი ხელს მისცემდა და ეჭვს სწორედ იმაზე მიიტანდნენ, ვინც დავაკავეთ. რაც მთავარია, მას მარტივად შეეძლო, ვინმესთვის 500 ან 1000 ლარი მიეცა და ეთქვა, ასე მოიქეციო“.

აქედან გამომდინარე, ძალოვანებმა მისი თვალთვალი დაიწყეს და პარალელურად, უთვალთვალებდნენ იმ ორ საცხობსაც, რომელსაც უკვე ბრალდებულის ძმა მართავდა. დაზარალებულს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მხოლოდ მოხუცი დედა და რა თქმა უნდა, მას ბიზნესში არაფერი გაეგებოდა, ბრალდებულს კი უფროსი ძმა, რომელიც ცდილობდა, ორივე საცხობისთვის მიექცია ყურადღება, მაგრამ ისე ჩანდა, რომ საქმე კარგად არ იცოდა და თანამშრომლებთანაც არცთუ იშვიათად მოსდიოდა კონფლიქტი.

ყველაფერთან ერთად, ბრალდებულმა მხატვარი მოითხოვა და იმ პიროვნების ფოტორობოტი შეადგინა, რომელიც მანქანით წაიყვანა და რომელზეც ამბობდა, დანას სწორედ ის დამიდებდაო. ეს ფოტოც ჰქონდათ ოპერმუშაკებს და ყველა კლიენტს, რომელიც საცხობში მიდიოდა, ყურადღებით აკვირდებოდნენ, ხომ შეიძლებოდა, ის ისევ გამოჩენილიყო იმის იმედად, რომ მთავარი ეჭვმიტანილი უკვე დაკავებული იყო. ასე გავიდა სამი დღე, მეოთხე დღეს კი, ერთ-ერთი ოპერმუშაკი განყოფილებაში მივიდა და განაცხადა, რომ დამნაშავეს მიაგნეს.

„ფოტორობოტზე აღბეჭდილი პირი საცხობში მივიდა და ბრალდებულის ძმა იკითხა. ის ადგილზე არ იყო, დაელოდა, როცა გამოჩნდა, ერთმანეთს საქმის გარჩევა დაუწყეს, ლამის ხელი დაარტყეს. მერე, რაღაცაზე შეთანხმდნენ და ის ბიჭი წავიდა. მეორე ოპერი მას გაჰყვა, მე კი აქ წამოვედი. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს, სწორედ დაკავებულის ძმამ დააორგანიზა და ახლა, შემსრულებელი, ალბათ, ფულს სთხოვს“, – ოპერმუშაკმა ახალი ინფორმაცია ერთ ამოსუნთქვაზე მიაყარა გამომძებელს.

ეს უკვე საინტერესო იყო. გამომძიებელმა განკარგულება გასცა, თვალთვალი, როგორც ძმაზე, ისე ფოტორობოტზე აღბეჭდილ პირზე გაეძლიერებინათ. რაც მთავარია, ძმა განყოფილებაში დაიბარეს და უთხრეს, რომ დანაზე დაკავებულის ანაბეჭდები ნახეს, აუხსნეს, კარგი ადვოკატი მოეძებნა, რადგან მკვლელობის მცდელობა უკვე გახსნილი იყო. ამ ნაბიჯს მისი ყურადღება უნდა მოედუნებინა, უნდა დაარხეინებულიყო, თუ ყველაფრის ორგანიზატორი გახლდათ და ასეც მოხდა. მეორე დღეს, მან ლომბარდში ოქროული ჩააბარა, შემდეგ კი ფოტორობოტზე აღბეჭდილ პირს შეხვდა და თანხა გადასცა. სწორედ თანხის გადაცემის შემდეგ დააკავეს ორივე, ოღონდ ცალ-ცალკე, ისე, რომ არ სცოდნოდათ, მეორეც რომ დაკავებული იყო. გამოძიებას ხელში არაფერი ჰქონდა, მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ უბრალოდ ფული ასესხეს და ამით დამთავრებულიყო. ამიტომ, ჯერ ფოტორობოტზე აღბეჭდილი პირი დაკითხეს, რომელიც ბრალდებულმა ამოიცნო და დაადასტურა, რომ სწორედ ის წაიყვანა იმ საბედისწერო დღეს ვაგზალზე.

„საცხობის მფლობელის ძმამ ხელი დაგადო, რომ ფულს სძალავდი. ყველაფერი აღბეჭდილია, სურთები, ვიდეოები... გამოძალვის გამო, ციხეში 7 წლით გაგიშვებთ“, – მშვიდად უთხრა გამომძიებელმა და შეატყო, როგორ აიჭრა ბიჭი.

„რაა? მძალავდაო? მაგან ფული იმაში გადამიხადა, რომ მისი ძმის მანქანაში, როგორმე, სისხლიანი დანა დამედო და დავდე კიდეც. ფულს დამპირდა, მაგრამ ასე მითხრა, მეორე საცხობის მეპატრონე უნდა მოგეკლა, ის კი გადარჩაო. ამიტომ, ნაკლები თანხა მომცა და ვუთხარი, არ შეგარჩენ-მეთქი და ახლა ეს მოიფიქრა? ის არის შემკვეთი და 7 წელზე მეტს, მკვლელობის მცდელობისთვის მაინც არ მომცემთ და რომც მომცეთ კიდეც, ავიტან, ოღონდ ციხეში მარტო არ ჩავჯდები“, – განაცხადა მან.

საქმე უკვე გახსნილი იყო და როცა მეორე დაკავებულს შემსრულებლის ჩვენება წააკითხეს, თავი ჩაქინდრა.

„უფროსი ძმა ვარ და სინამდვილეში, პატარა ძმა მეუფროსებოდა. რამდენი იდეა მქონდა, რამდენი აზრი, ყველაფერზე ხელს იქნევდა, პრაქტიკულად, მუშად ვყავდი და ხელფასს მიხდიდა. ამიტომ გადავწყვიტე ის, რაც გადავწყვიტე. ორივე საცხობი მე მრჩებოდა, იმ მოხუცი ქალისგან წილს მარტივად გამოვისყიდდი, მაგრამ ამ შტერმა კაციც კი ვერ მოკლა და ახლა კიდევ, პატარა ბავშვივით ჩამიშვა“, – განაცხადა ბრალდებულმა.

რა თქმა უნდა, ძალოვნებმა პირველად დაკავებული პირი გაუშვეს, მეორე საცხობის მეპატრონეც გამოჯანმრთელდა და მათ დღემდე საერთო ბიზნესი აქვთ.

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების წრე გაფართოვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, გაფართოვდა იმ სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიების/ქვეკატეგორიების წრე, რომელთა მართვისათვის ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს აღარ ექნებათ დამაბრკოლებელი გარემოება.

„მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებისა და მისი შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს „AM“, „A“, „B“, „BE“ კატეგორიებისა და „A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ.

გამოცდაზე გასვლის საფუძველი არ იქნება ოპერაციული ჩარევა, პროთეზირება, კორექცია, ან სხვა რაიმე გზით დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევა. აღნიშნული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ექნება უფლება, მართოს დასახელებული კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები.

ბრძანებაში ცვლილების შეტანამდე, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს „AM“ და „A1“ კატეგორია/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ენიჭებოდათ, ხოლო, „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის უფლება მხოლოდ გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ჰქონდათ.

ერთობლივი ბრძანების პროექტის მომზადებისას გაზიარებულ იქნა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, ასევე, „მართვის მოწმობების შესახებ“ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის დირექტივის მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებს სმენის დაქვეითების შემთხვევაში რაიმე შეზღუდვის ან აკრძალვის დაწესებას „AM“, „A“, „B“, „BE“ კატეგორიებისა და „A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი ბრძანების პროექტის მომზადებისას, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის – ფაზა II“ ფარგლებში, განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას.

მიგრაციის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის შვიდი მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ნიგერიის, ირანის, ეგვიპტისა და განას, ჯამში, შვიდი მოქალაქე დააკავეს.

დადგინდა, რომ დაკავებული პირები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ქვეყანაში იმყოფებოდნენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მათ არ ისარგებლეს გაძევების გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადებით, რაც ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებას გულისხმობს, რის შედეგადაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პირების დაკავების თაობაზე.

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ამ დროისთვის დაკავებული პირები მოთავსებულები არიან მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, შემდგომში, მათი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების მიზნით.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ოთხი პირი დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ი.ბ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული გ.ბ., 1988 წელს დაბადებული ჯ.ფ. და 1987 წელს დაბადებული დ.მ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, თბილისში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა 1997 წელს დაბადებული ტ.ფ.-ს მიმართულებით, მიღებული დაზიანებების შედეგად ტ.ფ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო საპასუხო გასროლისას დაიჭრა ი.ბ., რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტს შეესწრნენ ბრალდებულის მეგობრები: გ.ბ., ჯ.ფ. და დ.მ., თუმცა მათ სამართალდამცავ უწყებას დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობასა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

როგორც იქნა – მიქაუტაძემ ორი გოლი გაიტანა

დავითაშვილს მოსაგებად დუბლი არ ეყო, ბუდუმ ისევ გაიტანა

საქართველოს ნაკრების ფეხბურელებს მორიგი სათამაშო კვირა ჰქონდათ და მართალია, ჩვენებურებმა თავის გამოჩენა მოახერხეს, მაგრამ ეს მათი გუნდებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ზურიკო დავითაშვილით დავიწყოთ. მისი „სენტ ეტიენი“ „ანჟერს“ სტუმრობდა, ჩვენებურმა ორი გოლი გაიტანა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, მაგრამ რად გინდა, მისმა გუნდმა 2:4 წააგო. ნამატჩევს თქვა ზურიკომ, იმედგაცრუებული ვარ, ჩემი გოლეები კი კარგია, მაგრამ უმთავრესი კლუბის წარმატებაა. 5 გატანილი გოლით, დავითაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო მეგოლეა ბუდუ ზივზივაძე, რომელმაც გასულ უქმეებზე, მიმდინარე სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა, თუმცა მისი „კარლსრუე“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა. ბუდუ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მისი კლუბისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია – „კარლსრუე“ ბუნდესლიგაში აღზევებისთვის იბრძვის და მისთვის ყველა ქულა მნიშვნელოვანია.

ანტონიო კონტემ, „ლეჩესთან“ შეხვედრაში, სათადარიგოთა შორის დატოვა ხვიჩა კვარაცხელია. მწვრთნელმა ეს იმით ახსნა, რომ ქართველი ფეხბურთელი გადატვირთული გრაფიკიდან დაასვენა და მოედანზე ბოლოს შეუშვა. „ნაპოლიმ“ კი, ერთი შეხედვით, იოლად მოსაგები რთულად მოიგო და იტალიის ჩემპიონატს კვლავ ლიდერობს.

სერია A-ში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველი, საბა გოგლიჩიძე, ტრადიციისამებრ „ემპოლის“ ძირითადში იყო და სრულად ითამაშა. მისმა გუნდმა სტუმრად „პარმასთან“ ქულა მოიპოვა, იტალიელმა ჟურნალისტებმა კი დაწერეს, რომ საბა ვეტერანი ფეხბურთელივით მშვიდად თამაშობს და სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს, ამ ნიჭიერ მცველს, რომელიმე იტალიური გრანდი გადაიბირებს.

გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“ „ხეტაფეს სტუმრობდა. ამ ტურის წინ, ქართველი კიპერის გუნდი სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და ისევ ბოლოზე დარჩა. 11 შეხვედრაში, მამარდას გუნდმა მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა და მთავარი მიზანი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება.

და გიორგი მიქაუტაძე! სულ ვამბობდით, რომ ქართველს დრო სჭირდებოდა და როგორც ჩანს, მან ადაპტაციის სრულად გავლა მოახერხა. „ოსერთან“ შეხვედრაში, მწვრთნელმა ჩვენი ნაკრების ფორვარდი ძირითადში დააყენა და გიორგიმაც იმედები გაამართლა. ჯერ იყო და, პირველი ტაიმის ბოლოს, პენალტი აიკიდა, თავადვე შეასრულა და გუნდი დააწინაურა. მერე კი, როცა მეორე ტაიმის სტარტზე სტუმრებმა გაათანაბრეს, გიორგიმ თანაგუნდელის გადაცემა შეირგო და ანგარიში ისევ გაზარდა, თუმცა მატჩი საბოლოოდ ფრედ, 2:2 დასრულდა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ აღნიშნული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ მიქაუტაძე დასახელდა.

რა თანხა გამოიმუშავა თოფურიამ ჰოლოვეის დამარცხების სანაცვლოდ

26 ოქტომბერს, აბუ დაბიში, UFC 308-ზე, ქვემსუბუქი წონის (66 კგ.) საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს ილია თოფურია და მაქს ჰოლოვეი დაუპირისპირდნენ. თავიდანვე ვთქვათ, რომ შეხვედრას ყველა უდიდესი ინტერესით ელოდა, რადგან ილია პირველად იცავდა ქამარს და ესეც არ იყოს, ქართველი მებრძოლი აქამდე დაუმარცხებელი გახლდათ. ამასთან ერთად, ჰოლოვეის ზურგს უზარმაზარი გამოცდილება უმაგრებდა და რაც მთავარია, ის ამაყობდა, რომ ვერცერთ შეხვედრაში მისი გათიშვა ვერავინ მოახერხა.

შეხვედრის დაწყებამდე, გულშემატკივრებს საოცარი რამ ელოდათ – ილიას საქომაგოდ დარბაზში ლეგენდარული ესპანელი ფეხბურთელი, სერხიო რამოსი იმყოფებოდა. ეს მაშინ, როცა იმავე საღამოს, მადრიდში, „რეალი“ „ბარსელონას“ მასპინძლობდა ანუ სერხიომ, საყვარელი გუნდის თამაშს, ილიას ბრძოლის ყურება არჩია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქართველმა „ელ მატადორმა“ მეტოქე მესამე რაუნდში გათიშა და ქამარი შეინარჩუნა. ბრძოლის შემდეგ, ჰოლოვეიმ აღიარა, რომ უძლიერეს მოწინააღმდეგესთან დამარცხდა, რომ ცოტას დაისვენებს და ოქტაგონს ისევ დაუბრუნდება. ოფიციალურად, ამ ბრძოლის მოგებისთვის ქართველმა მებრძოლმა 750 ათასი დოლარი მიიღო, მაგრამ სპონსორების მიერ გადახდილი ფულით, თანხა 2 მილიონ დოლარამდე გაიზრდება. თოფურია წელს ქამრისთვის აღარ იჩხუბებს, გაისად კი, მისი შენარჩუნებისთვის ბრძოლა ისევ მოუწევს და იმედია, სტატისტიკას გააუმჯობესებს. დღეისათვის, 17 შეხვედრიდან, მას ყველა მოგებული აქვს.

მანჩინიმ არაბებს 25 მილიონი აახია

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი, რობერტო მანჩინი, საუდის არაბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2023 წელს დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით, არაბებმა 20 მატჩი ჩაატარეს, საიდანაც 8 მოიგეს, 5 ფრედ დაასრულეს, 7 კი წააგეს. ჰოდა, არაბეთის ფეხბურთის ფედერაციას, იტალიელის მუშაობით უკმაყოფილება არ დაუმალავს და მისი გათავისუფლება გადაწყვიტა. მანჩინიმ კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის სანაცვლოდ, ხელშეკრულებაში არსებულ მუხლზე მიუთითა და არაბეთიდან აიბარგა.

მოკლედ რომ ვთქვათ, არაბები მანჩინის მოხსნის სანაცვლოდ, 25 მილიონ ევროს გადაუხდიან და იტალიელს თავისუფლად შეუძლია, 1-2 წელი უმუშავარი იყოს და აღებული ფულით... არაბეთში დაისვენოს ხოლმე.

რა ელის მამარდაშვილს მომავალ ზაფხულში

მოგეხსენებათ, გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიაში“ ბოლო სეზონს ატარებს. ქართველი კიპერი ინგლისურმა „ლივერპულმა“ იყიდა და ზაფხულში, გიო ნისლიანი ალბიონის გზას გაუყვება. პარალელურად, „მერსისაიდელთა“ ძირითადი კიპერი, მიმდინარე სეზონის ბოლოს, კარიერას საუდის არაბეთში გააგრძელებს და წესით, მამარდაშვილი ძირითადი კიპერი უნდა გახდეს, თუმცა...

ალისონმა ტრავმა მიიღო და ახლა „ლივერპულის“ კარს სათადარიგო მეკარე, კაომინ კელეჰერი იცავს. მას ყველაზე სერიოზული გამოცდა ჩემპიონთა ლიგაზე ჰქონდა, როცა მისი გუნდი გასვლაზე „ლაიპციგს“ ეთამაშა. ინგლისელებმა მინიმალური სხვაობით, 1:0 მოიგეს, მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი სწორედ კალაჰერი გახდა.

„არავინ ელოდა, რომ სათადარიგო მეკარე ასეთ დონეზე იასპარეზებდა. ალისონი ნოემბრის ბოლომდე არ დაბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კალაჰერი კიდევ არაერთ შეხვედრას ჩაატარებს და თუ ასაპარეზობას ასეთ დონეზე გააგრძელებს, შესაძლოა, მწვრთნელმა ალისონი აღარც კი ათამაშოს. თუმცა, მთავარი პრობლემა ეს კი არა, ის გახლავთ, რომ სეზონის ბოლოს, გუნდს გიორგი მამარდაშვილი უერთდება, რომელიც მეორე ნომრობას ვერანაირად ვერ შეგუება. მეორე ნომრობა აღარ მოუნდება კალაჰერსაც, რომელმაც საკუთარი კლასი უკვე დაამტკიცა და გულშემატკივრებიც ამბობენ, რომ წარმოდგენა არ აქვთ, ვინ უნდა დაიცვას მათი საყვარელი გუნდის კარი“, – წერს ბრიტანული მედია და იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ თუ წასვლას ალისონიც გადაიფიქრებს, „ლივერპულს“ ხელში სამი ისეთი მეკარე შერჩება, რომლებსაც ძირითადში თამაშზე ექნებათ პრეტენზია და რაც მთავარია, სამივე მათგანი ამ ძირითადს იმსახურებს.

„ნაპოლი“ 5 მილიონს იხდის, კვარაცხელიას – 9 უნდა

ხვიჩა კვარაცხელიას აგენტი, მამუკა ჯუღელი იტალიაში კიდევ ერთხელ ჩავა და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კლუბსა და მის კლიენტს შორის შეთანხმება მოხერხდეს. თუმცა, ამ ყველაფერს სკეპტიკურად უყურებენ იტალიელი ჟურნალისტები და ვარაუდობენ, რომ კლუბის პრეზიდენტ აურელი დე ლაურენტისს ქართველის გაყიდვა უკვე გადაწყვეტილი აქვს და თუ ზამთარში არ გაყიდის, ზაფხულის სატრანსფერო სეზონში აუცილებლად შეელევა.

„კვარაცხელიას აგენტს სურს, რომ ფეხბურთელმა სეზონში 9 მილიონი ევრო მიიღოს და ეს მაშინ, როცა „ნაპოლი“ მზად არის 5.4 მილიონი გადაიხადოს და 0.6 მილიონი ბონუსების სახით დაამატოს, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ კვარა საჭირო ოდენობის გოლებს გაიტანს. შესაბამისად, გარიგება უკვე გამორიცხულია და დე ლაურენტისი უბრალოდ დროს ჭიმავს და ფონს ქმნის, თითქოს მოლაპარაკებებს რაიმე აზრი აქვს და ეს იმიტომ, რომ გულშემატკივრები არ გაუბრაზდნენ“, – წერს იტალიური მედია.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ბრიტანელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ კვარაცხელიას შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს, პარალელურად კი, ინგლისურიდან მარკუს რაშფორდის გადაბირება უნდა „ნაპოლის“. ჰოდა, დიდი გაცვლა, შესაძლოა, სწორედ ზაფხულში მოხდეს და „მანჩესტერმა“ რამდენიმე მილიონის დამატებითა და ზედ რაშფორდის მიცემით, კვარაცხელია იყიდოს. ჰო, ბოლოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მანჩესტერს“ მთავარ მწვრთნელად ესპანელი სპეციალისტი, ხავი ერნანდესი სურს და „ბარსას“ ყოფილმა ლეგენდამ, იქ გადასვლის სანაცვლოდ... კვარაცხელიას ტრანსფერის განხორციელება მოითხოვა.

20 მილიონი – ჩაკვეტაძის სანაცვლოდ

ინგლისის ჩემპიონშიპში მოთამაშე „უოტფორდმა“, შესაძლოა, მისთვის სუპერ-ტრანსფერი განახორციელოს. მოგეხსენებათ, ამ კლუბმა ბელგიური „გენტიდან“ გიორგი ჩაკვეტაძე 2 მილიონ ფუნტად იყიდა და გიორგიმაც იმედები გაამართლა – მუდმივად გუნდის ძირითადში თამაშობს და ქომაგების არც თუ მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ ქართველი კლუბის საუკეთესო ფეხბურთელია.

ჰოდა, ჩვენებურის შეძენა პრემიერლიგურ „ვულვზს“ სურს. „მგლები“ ინგლისის უმთავრეს ლიგაში, 9 ტურის შემდეგ, მოგების გარეშე არიან (2 ფრე და 7 მარცხი). ამიტომ, ზამთრის სატრანსფერო სეზონში გაძლიერებას გეგმავენ, რათა სეზონის ბოლოს, ქვემოთ არ დაქვეითდნენ. ჰოდა, როგორც ინგლისური მედია წერს, მათი მთავარი სამიზნე, სწორედ ჩაკვეტაძეა. „უოტფორდი“ მზად არის, გუნდის ქართველ ლიდერს შეელიოს, მაგრამ სანაცვლოდ, 20 მილიონ ფუნტს ანუ ათჯერ მეტს ითხოვს და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ „ვულვზმა“ ეს ფული გადაიხადოს, მაგრამ რამდენად სჭირდება თავად გიოს პრემიერლიგის მაჩანჩალა გუნდში გადასვლა, ვერ გეტყვით

პატარა მწყემსის ფიქრები

ვაჟა ფშაველა

ბეჩაობით გაზრდილი ვარ, ძმისავ, მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვის შვილადა ვარ. შვიდის წლისა მამაჩემმა დიდყურაანთ დამიყენა მოჯამაგირედ და ამ ხუთის წლის განმავლობაში, მამაჩემი ჩემის ჯამაგირით იხდის მახტას. წლისა და წლის თავზედ მოდის ხოლმე ჩემი ჯამაგირის ასაღებად. მე კი ერთი ფრჩხილის საკვეთი დანაც არ მიყიდია.

ეჰ, ნეტავი მშობლები ცოცხლები მყვანდენ და, რა ვუყოთ!.. მარტოობამ დამატანა ძალა: ხშირად ოთხი თვე გავა, კაცს ვერ დავინახავ თვალით; მოხუცებული პაპუა რა ტოლამხანაგობას გამიწევს? საღამოზე ბინაში მისვლაც კი მეზარება ხანდახან, მაშინვე ჯავრობას დამიწყებს, სულ ჯავრობს, ბუზღუნებს: „ეშმაკ-ქაჯთ შეჰხედავ, ცხვარს ვერ უმარჯვებ ბალახიან ადგილებსაო“.

ჩვენს მთებში ხომ ბალახს ძებნა არ უნდა, ლაშარის-ჯვრის მადლმა! ჩემი განუშორებელი დღედაღამ ამხანაგი ყურშია არის. ენაცვალოს თავისი პატრონი ყურშიას, ის არავის დააჩაგვრინებს ჩემს თავს! იმ დღეს პაპუჩელთ ტუღუნა ყოფილიყო სანადიროდ როჭოებზე, პაპას გამაჰპარვიყო სათიბიდამ. ის იყო ცხვარი გადავჰფინე თხილიანთ ვაკეზე; ზევიდამ ხმა მომესმა: „თილო, ჰა, თილო!“ „ვინა ხარ, მტერი თუ მოკეთეო?“ – დავუძახე მე ქვევიდამ.

„აბა, თუ ბიჭი ხარ, ამოდი, მეჭიდეო“, – მეუბნებოდა თავმომწონებით ტიღუნა. მეც არ დავუშინდი, ვიჭიდენით. ტიღუნა ხერხით მჯობდა, მე – ღონითა, „სწორული“ მოგვდიოდა. ბოლოს იმან წამაქცია და ყელში წამიჭირა. ნახა ჩემმა ყურშიამ, რომ ტიღუნა აღარა ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და, მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა. ჩემს ყურშიას ჯერ ძაღლი არ მოჰრევნია; ამაყი და დიდგულაც ძლიერ არის, მეც არ დამიზავებს, თუ უმიზეზოდ გავაჯავრებ, სამს დღეს ხეირიანის თვალით აღარ შემომხედავს, – გამებუტება. ბეწვი გასწყდა, კინაღამ ტიღუნას ახალი ჩოხა და წითელი პაიჭები არ შემოახია. მე ვინ მომაშავებს, – წითელს არ ვიტყვი, – თუნდაც თეთრ პაიჭებს?! მამაჩემი გულშავი კაცია, სრულებით არ ვებრალები, ისევ დედაჩემს ვენაცვალე სულში.

ამ ხუთ წელიწადში, ერთხელ ძლივსძლივობით დამითხოვეს დიდყურაანთ შინა. დედას ჩემი დანახვა ძლიერ გაეხარდა, დიდხანს მკოცნა: „ენაცვალოს დედა ჩემს ბეჩავსო“, – იტყოდა ხოლმე, რამდენჯერაც მაკოცებდა. დედამ ერთი პირი ჭრელი წინდა მომცა; ეს წითელგულისპირიანი პერანგიც ჩემთვისა ჰქონდა შენახული, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა: – როგორ გექცევიან დიდყურაანიო, ხომ არა გცემენ, ან ხომ არ გამშევენო? დიდი ხანია, შვილო, რასაც ეს ტყავანი გაცვიანო? ბარეღამც დიდყურაანთ ცუდად მექცევიან, მაგრამ იმათზე ცუდს როგორ ვეტყოდი დედას. როდესაც დედამ ჩემი ტანისამოსი ნახა, დაგლეჯილი ტყავ-ნაბადი, დაუწყო ჩხუბი მამაჩემს:

„შე დამეხილო, რაზე ჩაუგდე სხვათ ეს ბალღი ხელში, რად აკვლევინებ ქვეყანასაო?!“ – ამბობდა რა ამას, თან თხილის გულის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდამა და კალთა ევსებოდა. მეც დამენანა, შამებრალა თავის თავი და ტირილი დავიწყე. დედამ საცვლები დამირეცხა, ნაბადი დამიკერა, ტყავი გამიპოხა და ისეთი ჩამაცო. დიდი ხანი მე წმინდა პური აღარ მეჭამა, დედამ გამომიცხო კვერი, წმინდის ფქვილი მოლოდინაანთაგან ისესხა, „ჩამიხურა“ ერბოში და მაჭამა. გული დამიბრუნდა შინ, აღარ მეწადა ცხვარში წასვლა. რადა ვყევივარ, მიკვირს, მამას სხვის შვილად? დიდყურაანთ ერთხელ არ გამგზავნიან ქორწილში, არც ხატში... შენი ქორწილი ცხვარიაო, – მეტყვიან, მომაგონდება წითელკაბიანი ქალების თამაშობა და გული მომიკვდება...

საშინლად იტანება მგელი. ნეტავი, დამბაჩა მაინცა მქონდეს, რომ დავახალო და გავაფრთხო. დედაჩემს შავეხვეწე, ერთის ვარიათი ტყვია-წამალი მიყიდე და მამას დამბაჩა მითხოვეო. დამპირდა, მაგრამ არ ვიცი, ამისრულებს პირობას, თუ არა. თუ დამბაჩა ვიშოვნე, ჯიხვების და როჭოების ჯავრსაც მაშინ ამოვიყრი, ეხლა რომ არ მეპუებიან და, სადაც არა მგონია, გადმოჰყუდებენ ჯიხვები რქებს კლდის თავებზედ, ხან ხროდ შეყრილები დააქანებენ ქვიშის ზვავს და როჭოები ჩემს წინ ამოიღებენ ფრთხიალს, – აბა, მაშინაც ნუ შემეპუებიან!

ჩემი შინ ყოფნის დროს, ჩვენსა მღვდლის შვილი ვასო მოვიდა. იმან მიამბო, რომ ქალაქში ბევრი ტყვია-წამალი არისო. ნეტავი, მე მომიტანა... ახ, ნეტავი, მეც ნასწავლი ვიყო! რამდენი მიამბო ვასომ ნახული და გაგონილი. თუმცა პაპუამ მითხრა, ცისა, დინდგლისა არისო, მაგრამ ვასომ, ეს რომ ვუთხარი, სიცილი დაიწყო, – იქამდისინ მაშ, რატომ არ დადნაო. ვასოს ლამაზად ეცვა: მაუდის ჩოხა, ჭრელი ახალუხი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. თოფიც მამამ უყიდა. მე ვინ რას მიყიდის?! როდის გავიზრდები, მე თვითონ ვიყიდი ჩემთვის ყველაფერს: ტყვია-წამალს ბლომად ვიქონიებ, ერთს შევერცხლილს თოფს, სირმიანს ჩოხას...

ვასომ ერთი სროლა ტყვია-წამალი მომცა, მაგრამ ისიც იქვე დავწვი ნიშანზედ. ვასო კარგი გულისაა. მაშინ რომ მყოლიყო ის როჭო, რომელიც გუშინ ჩემმა ყურშიამ დამიჭირა, ვასოს ვაჩუქებდი. რად მინდა, ტყუილად მომიკვდება; თუმც კალათაში მიზის, მაგრამ პაპუა იმას ყურს არ უდგებს, არაფერს არ აჭმევს... საწყალი! როგორ ჰფეთქდა, გული როგორ უცემდა, წინაპირველად ხელში რომ ავიყვანე. შავარდენი მოსდევდა. ჭექასაებრ ხმა, ქუხილი რომ შემომესმა. თავი მივიბრუნე და დავინახე: წინ როჭო და უკან შავარდენი დამალებულები მოდიოდენ; ორივენი მე მომიახლოვდენ. ცხვარი მაშინ ქობთოხევსა მყვანდა, წყლის პირას ვიჯექ და დიყის სტვირს ვაკეთებდი. შეშინებულმა როჭომ გზა ვეღარ გაიგნო, ჩემს წინ გუბეში ჩაეცა, ჩემი ყურშია გადუხტა და დაიჭირა. შავარდენი გაწყრა, წავიდა მაღლა-მაღლა კივილით და ცაში დაიღუპა. მე როჭო ხელში ავიყვანე. საცოდავი!

კანკალებდა და გასაფრენად იზიდებოდა, დაფეთებულს თვალებს აქეთ-იქით ავლებდა, წუხელ კი უფრო გულდასევდიანებულს ჰგავდა, ორჯერ გადაუხედენ ჩრაქვით, თვალებმიხუჭული, მობუზული იჯდა. ჩემმა ყურშიამ შარშან უფრო საკვირველი საქმე ჩაიდინა. ერთხელ ცხვარი აფხუშოს კუდებში მყვანდა. იმღამინდელი წვიმისაგან სველი იყო ბალახი. მე ისეც სველი, უფრო დავსველდი. ის იყო მზემაც გააწითლა მთის წვერები. მე დავჯექ ერთი კლდის თავზედ და ვუცდიდი მზის ამოსვლას. ჩემს წინ ერთი ცირცელი იდგა... საპარავის-ყელში გამოჩნდა არწივი; არწივი თავმომწონებით, ამაყად მოიზლაზნებოდა; მხოლოდ დროდადრო მოიხრიდა თავქვე და იქით-აქეთ კისერს; იმას აჰსევიყო ორი ყორანი და აღარ ასვენებდნენ; გაუელვებდა ერთი იმათგანი, ამობრუნდებოდა გულაღმე და „ყრანტ“, „ყრანტს“ შესძახებდა.

არწივი ყორნებს თავს არ უყადრებდა, არ ივლებდა ბაი-ბუად იმათგან მიტანილს იერიშს; იგი ხანგამოშვებით შააფრაშფრაშებდა მხოლოდ მხრებს და ერთმხრივ მიიწევდა. ერთი ყორანი უფრო აწუხებდა. არწივი გაჯავრდა, დაჰკრა გაზი, ყორანი მხარგაშლილი თავქვე წამოვიდა, თან ბუმბულის კვალი გამოჰყვა, ერთი კუმში იმის ბუმბულისა, ქარმა ცისაკე წაიღო. არწივმა იმას ყური არ უგდო, ის ისევ თავისთვის დინჯად მიდიოდა და უფსკრულებს თვალს ადევნებდა. მეორე ყორანმა მაშინ ფეხი უკან დადგა, არწივმა საძერიანი გადაიარა, დამეკარგა თვალიდან. ახლა ახუნიდან გამოჩნდა ერთი ორბი. კლენჭებში ძვალი ეჭირა: ორბი ძვალს ათამაშებდა: ჩამოაგდებს დედამიწაზე და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს. წავა, წავა მაღლა, გაუშვებს კლანჭებიდამ და ჩამოჰყვება თვითონაც თანა. ესე რამდენჯერმე ჩამოაგდო ძვალი და წაიღო. მალე მეც დამიახლოვდა, მაგრამ ვერ კი დამინახა, ცირცელი მეფარებოდა, ყურშიაც გვერდზე მეწვა.

აფხუშოს კუდები კლდიან-რიყიანები არის, ორბი უფრო რიყეს უგანებდა ძვალს. აკი გაუწყრა ღმერთი და ჩვენს ახლო ჩამოაგდო ორბმა ძვალი. ყურშია გადაეტანა და, მანამ ორბი აიღებდა, ყურშიამ დაასწრო აღება. ორბს ეწყინა, გველივით სისინი დაიწყო და თოფნასროლივით საჩქაროდ შაეფარა კლდეებში. მერე პაპუას ვკითხე: რადა შვრებოდა, ჩემო პაპავ, ორბი იმასაო?

– ორბმა ეგრე იცისო, – მითხრა იმან – როცა ძვალს ნისკარტით ვერ გასტეხს, რომ ტვინით ჩაიპოხოს ყელი, რიყეზე ჩამოაგდებს მაღლით ძვალს, დაამსხვრევს და მერე ტვინს ისე შაექცევაო. დიდება შენთვისა, ღმერთო, ფრინველსაც ამოდენა ჭკუა ჰქონია!..

თქვენი ჭირიმე, მთებო, რამდენი რამ არის კარგი სანახავი აქა!.. გაზაფხულზე, როცა ზვავები დადნება, ნაზოვრებში კენკეშა და ჩადუნა ამოჩნდება, მოვკრეფ ნორჩ ჩადუნას, მივიტან ბინაში. მოვხარშავთ რძეში. იმაზედ გემრიელი, განა, კიდევ რამ იქნება?!

დოლობაც ამ დროს არის, გვიჩნდება ბატკნები. დღე და ღამე სიხარულით აღარა მძინავს. უდგა ბატკნებს და ბატკნის დედებს ბღავილი... მაგრამ, ახ! ამ ორი წლის შემდეგ, დიდყურაანთ დამითხოვენ შინ და ხელცარიელი როგორ მიუვიდე დედას, რომ ერთი სატყავე მაინც არ მიუტანო?

პონტიფიკოსმა ავტობიოგრაფია დაწერა



რომის პაპმა ფრანცისკემ ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა. The Guardian-ი, გამომცემლობა Penguin Random House-ზე დაყრდნობით წერს, რომ წიგნი, სახელწოდებით – „იმედი“, მომავალი წლის იანვარში გამოვა. პონტიფიკოსის თანაავტორი გახდა იტალიელი გამომცემელი კარლო მუსო. ისინი მასზე ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. თავდაპირველად, რომის პაპი აპირებდა, რომ ავტობიოგრაფია მისი გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებულიყო, თუმცა, როგორც ჩანს, ფრანცისკემ გადაიფიქრა და მისი გამოშვება „ჩვენი დროის საჭირობებიდან გამომდინარე“ გადაწყვიტა. წიგნი პაპის ცხოვრებაზე – მისი დაბადებიდან ამ დრომდე მოგვითხრობს. წიგნში პონტიფიკოსი მსჯელობს ეკლესიის მომავალზე, გლობალურ კონფლიქტებზე, ფეხბურთსა და ბევრ სხვა თემაზე. პაპის ავტობიოგრაფია მსოფლიოს 80 ქვეყანაში 14 იანვარს გამოქვეყნდება.

ნოტრ-დამის მონახულება ფასიანი ხდება



საფრანგეთის ხელისუფლება პარიზის ღვთისმშობლის განახლებულ ტაძარში შესვლაზე ტურისტებისთვის გადასახადს აწესებს. როგორც The Independent-ი წერს, კულტურის მინისტრის განცხადებაზე დაყრდნობით, ტაძარში შესასვლელად სტუმრებს 5 ევროს გადახდა მოუწევთ. ამ გადასახადიდან შესულ თანხას მთავრობა სხვა სარესტავრაციო რელიგიური შენობების აღდგენას მოახმარს. ვარაუდობენ, რომ წელიწადში 75 მილიონი ევროს მოზიდვას შეძლებენ. ეს გადასახადი მაშინვე ამოქმედდება, როგორც კი ნოტრ-დამი, ხანძრის შემდგომ მასშტაბური რესტავრაციის დასრულების შემდეგ, ხელახლა გაიხსნება. აღდგენითი სამუშაოები თითქმის ხუთ წელიწადს მიმდინარეობდა. აქამდე ნოტრ-დამში შესვლა უფასო იყო, თუმცა მისი კოშკებიდან პარიზის პანორამული ხედებისთვის და ტაძრის კედლებზე ცნობილი გარგოლების ახლოდან სანახავად 8.50 ევროს გადახდა იყო საჭირო. წელიწადში ტაძარს 13 მილიონამდე მნახველი ჰყავდა. ტაძრის გახსნა დეკემბრის დასაწყისშია დაგეგმილი, თუმცა მისი სრული რესტავრაცია 2025 წლამდე გაგრძელდება.

სად ცხოვრობენ ყველაზე კარგი მამები

სად და, პორტუგალიაში – ასეთი დასკვნები გენდერულ პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა გამოიტანა. ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა სტატისტიკური მონაცემები გაანალიზეს, სხვადასხვა ქვეყანაში შვილების მიმართ მამების მზრუნველობის რეიტინგი რომ შეედგინათ. შეფასების ძირითადი კრიტერიუმი დრო იყო, რომელსაც მამები შვილებთან ურთიერთობასა და თამაშზე ხარჯავენ. ყველაზე უარესი მშობლები ბრიტანელი მამები აღმოჩნდნენ – ისინი შვილებისთვის დღეში მხოლოდ 24 წუთს ხარჯავენ. პორტუგალიელების შემდეგ, კარგი მამების რეიტინგში ლიდერობენ შვედი, ფრანგი, იტალიელი და ახალზელანდიელი მამაკაცები.

უდაბნოში „ტაქსი“ გამოიძახეს

ტაქსის შეკვეთის პოპულარულმა სერვისმა – Uber, მომხმარებლები დუბაიში უჩვეულო მომსახურებით გააოცა. აღმოჩნდა, რომ მისი აპლიკაციის მეშვეობით არა მხოლოდ ავტომობილის, არამედ... აქლემის გამოძახებაც შეიძლება. ეს ამბავი ორი ტურისტი ქალის ისტორიის წყალობით გახდა ცნობილი, რომლებიც უდაბნოში დაიკარგნენ. ერთ-ერთი მათგანი, ცდილობდა რა, გამოსავლის პოვნას, Uber-ის აპლიკაცია გახსნა და მოულოდნელი „ოფციაც“ (დამატებითი ფუნქცია) აღმოაჩინა – აქლემის გამოძახება. დიდხანს არ უფიქრია და შეკვეთა გააფორმა. წარმოიდგინეთ, როგორ გაოცდნენ მოგზაურები, როცა მათთან მართლაც მივიდა მამაკაცი აქლემით და სერვისის – Uber Camel-ის მძღოლად წარუდგინა თავი. გაირკვა, რომ ცხოველის პატრონს პირველად არ უწევდა უდაბნოში დაკარგულების გადარჩენა, რომელთაც მოაფიქრდათ და სერვისის პლატფორმიდან უჩვეულო „ტაქსი“ გამოიძახეს.

მეზობლებთან ფეხსაცმლის დასაყნოსად იპარებოდა

საბერძნეთში, 28 წლის მამაკაცი სამართალდარღვევისთვის გასამართლეს, რადგან ის არაერთხელ შეიპარა მეზობლების სახლში, მათი ფეხსაცმელების დასაყნოსად. სალონიკის სასამართლომ, ქალაქ სინდოსის მცხოვრებ ახალგაზრდას ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ის დანაშაულის ადგილზე, ერთ-ერთ მეზობელთან აიყვანეს, როცა მათი გარეთ დატოვებული ფეხსაცმლის სუნს აფასებდა. პოლიციამ გაარკვია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ზოგიერთმა მეზობელმა დამნაშავეს სთხოვა კიდეც, ასე აღარ მოქცეულიყო, რადგან არ სურდათ ამ საქმეში სამართალდამცავების ჩართვა. ფეხსაცმლის სუნის მოყვარულ ბერძენს ფსიქოთერაპიის გავლა დაავალეს. მეზობლები ამბობენ, რომ მამაკაცს არასდროს გამოუხატავს აგრესია, სახლებს კი ღამ-ღამობით სტუმრობდა. თავად დამნაშავეც აცხადებს, რომ ზიანის მიყენება არავისთვის სურდა.

ბავშვებს სოციალურ ქსელებს აუკრძალავენ

ნორვეგიის მთავრობაში გადაწყვიტეს, რომ 15 წლამდე ბავშვებს სოციალური ქსელებით სარგებლობა აუკრძალონ, რათა მოზარდები მისი მავნე ზემოქმედებისგან დაიცვან. ამჟამად ქვეყანაში ონლაინ-პლატფორმების გამოყენების მინიმალური ასაკი 13 წელია, თუმცა მედიის მართვის სამმართველოს მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ სოციალურ მედიას 9 წლის ბავშვების თითქმის ნახევარი, 10 წლისების – 58% და 11 წლისების – 72% იყენებს. მთავრობა, ასევე, გეგმავს ასაკის გადამოწმების მექანიზმის შემუშავებას, მოზარდებმა მისთვის თავის არიდება რომ ვერ შეძლონ.

შვრიის ფაფა სიმსივნისგან იცავს

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ შვრიის ფაფის ყოველდღიურ მოხმარებას შეუძლია ადამიანი საშიში დიაგნოზისგან დაიცვას. კვლევებით აღმოჩნდა, რომ ეს უბრალო მცენარეული ნარევი ადამიანს ავთვისებიან სიმსივნეს, ინფარქტსა და ინსულტსაც აარიდებს. სწავლულებმა 12 კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 800 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ ამ რესპონდენტების ავადმყოფობის ისტორია შეისწავლეს და გაარკვიეს, რომ ისინი, რომლებიც ყოველდღიურად, სულ ცოტა, 70 გრამ ბურღულეულს მიირთმევდნენ, სასიკვდილო დაავადებების რისკი 22%-ით უმცირდებოდათ. მეცნიერები ყველას ურჩევენ, დილა შვრიის ფაფით დაიწყონ, რომელიც 70-100 გრამი ფანტელისგან იქნება მომზადებული. სპეციალისტების დათვლებით, მისი ყოველი 16 გრამი სიკვდილიანობას 7%-ით ამცირებს, სიმსივნით სიკვდილის რისკებს კი – 5%-ით. მკვლევარები თავადაც შოკირებულნი დარჩნენ ამ შედეგებით და აცხადებენ, რომ მედიკოსებმა ერთხმად უნდა მოუწოდონ მოსახლეობას, ხშირად მიირთვან შვრიის ფაფა, განსაკუთრებით კი გარკვეული დაავადებების მქონე პაციენტებმა, რათა გაიუმჯობესონ ჯანმრთელობის მდგომარეობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც შემცირდეს მსოფლიოში. სწავლულები აღნიშნავენ, რომ შრიის მსგავს საკვებ ბოჭკოებს შეიცავს ასევე კინოაც.

ხანმოკლე ვარჯიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს

დღეში 15-წუთიანმა ვარჯიშმა, შესაძლოა, ადამიანი ნაადრევ სიკვდილს გადაარჩინოს, – ნათქვამია სენტ-ეტიენის უნივერსიტეტის სწავლულების დასკვნაში. მათი შეფასებით, რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს შეუძლია დაავადებების უმეტესობის რისკი 22%-ით შეამციროს. კვლევები, რომელსაც ფრანგი მეცნიერები აწარმოებდნენ, 2010 წლიდან მიმდინარეობდა და მასში ათასზე მეტმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. რაც უფრო მეტს ვარჯიშობდნენ ისინი, მით ნაკლები იყო გულის დაავადებებისა და სიმსივნით გარდაცვალების რისკი. სწავლულები მოუწოდებენ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ვარჯიშობენ, ცხოვრების სტილი შეცვალონ, მხოლოდ არა სწრაფად – მათი თქმით, დღეში 15-წუთიანი ვარჯიში საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

ძილის პოზა ხასიათზე მეტყველებს

ფსიქოლოგებმა საინტერესო რამ აღმოაჩინეს – თურმე, ადამიანის ძილის პოზა მის ხასიათს უკავშირდება. ამის დასადგენად, სპეციალისტებმა მოხალისეების გამოკითხვაც ჩაატარეს და მათი ფსიქოლოგიური პორტრეტი შეადგინეს. შედეგების მიხედვით გარკვა, რომ ვისაც საწოლის მარცხენა ნახევარზე უყვარს ძილი, ყველაზე მეტად გაუმართლა. სწორედ ასეთი მდებარეობა, სწავლულების მოსაზრებით, განსაზღვრავს ადამიანის მეგობრულობასა და გულისხმიერებას. გარდა ამისა, ისინი სამსახურშიც წარმატებას აღწევენ და დილაობით უფრო უკეთეს განწყობაზე იღვიძებენ. იმ მოხალისეებს, რომლებსაც ამ პოზაში ეძინათ, ყველაზე მეტი მეგობარი ჰყავდათ. იმავდროულად, საწოლის მარჯვენა მხარის მოყვარული ადამიანები 9%-ით მეტად მარტოსულები არიან. თუ მძინარე ადამიანი გვერდზე წევს და ხელები სხეულის გასწვრივ აქვს, მისი ხასიათი რაციონალურობითა და სიმშვიდით გამოირჩევა, ხოლო თუ ხელები ზემოთ, წინ უწყვია, შეიძლება, ცინიკოსადაც ჩავთვალოთ. ძილის დროს „ჯარისკაცის“ პოზა ადამიანის ერთგულებასა და პატიოსნებაზე მეტყველებს, მუცელზე წოლა კი მეოცნებეებსა და ძლიერ პიროვნებებს ახასიათებთ.

მამაკაცი სუპერმენად იქცა

სუპერმენის ფილიპინელმა ფანატმა ჰერბერტ ჩავესმა, 13 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რომ მის საყვარელ გმირს დამსგავსებოდა. 35 წლის მამაკაცმა, ექიმების დახმარებით შეიცვალა ცხვირი, ყბების ფორმა, ჩაიტარა ლიპოსაქცია, გაითეთრა კანი და მხოლოდ მას შემდეგ გამოეწყო პოპულარული გმირის კოსტიუმში. ჩავესმა სუპერმენი ტელევიზიით პირველად ხუთი წლის ასაკში ნახა და მას შემდეგ, მთელი ცხოვრება იმას მიუძღვნა, რომ როგორმე საყვარელ გმირს დამსგავსებოდა. პლასტიკური ოპერაციები დაახლოებით 10 ათასი დოლარი დაუჯდა, რაც ფილიპინებზე უზარმაზარ თანხად ითვლება. ახლა მამაკაცი რეგულარულად გადის მშობლიური ქალაქის ქუჩებში, სუპერმენის წითელ კოსტიუმში გამოწყობილი და ასობით ადამიანის ყურადღებას იპყრობს. გარდა გარეგნული მსგავსებისა, ჩავესი იმითაც არის ცნობილი, რომ მას მსოფლიოში, სუპერმენის სუვენირების ყველაზე დიდი კოლექცია აქვს – დაახლოებით, 5 ათასი ეგზემპლარი.

ყველაზე გრძელ დაკიდულ ხიდს ააშენებენ

იტალიის ხელისუფლება აპირებს, 2030 წლისთვის, მსოფლიოში ყველაზე გრძელი დაკიდული ხიდი ააგოს, რომელიც კუნძულ სიცილიას მატერიკთან დააკავშირებს. მშენებლობის დაწყება წლის ბოლოს იგეგმება, თუმცა ეს ამბიციური პროექტი, ათწლეულების განმავლობაში, განვითარების სტადიაზე იმყოფებოდა. რაც შეეხება იდეას – სიცილიის ნახევარკუნძულთან დაკავშირების შესახებ, ეს ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს გაჩნდა. ორი წლის წინ, ჯორჯის მელონის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ ხიდის პროექტს აღადგენდა და დაფინანსებაში დახმარება ევროკავშირს სთხოვა. თხოვნამ შედეგი გამოიღო და ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. ევროკავშირი დაპროექტების ხარჯის 50%-ს დაფარავს, რაც დაახლოებით 25 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტის მიხედვით, ხიდი სიცილიის ქალაქ მესინას მატერიკზე, კალაბრიის რეგიონთან, ახალი სარკინიგზო და საავტომობილო გზით დააკავშირებს. ხიდის სიგრძე 3 კილომეტრზე მეტი უნდა იყოს და ის მსოფლიოში ყველაზე გრძელი დაკიდული ხიდი იქნება.

ელექტროენერგიას მთვარიდან მიიღებენ?



მსხვილი იაპონური სამშენებლო კომპანია – Shimizu Corp, პერსპექტიულ პროექტს ამუშავებს, რომლის განხორციელებაც კაცობრიობის წარმოდგენას ალტერნატიულ ენერგეტიკაზე მთლიანად შეცვლის. პროექტი ითვალისწინებს მთვარის ეკვატორის გარშემო, ეგრეთ წოდებული, ენერგეტიკული სარტყლის შექმნას მზის პანელებისგან, რომელთა სიმძლავრეც რამდენიმე დიდი ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებას დაკმაყოფილებდა. გეგმის მიხედვით, „სარტყლის“ ელექტროენერგიის გადმოცემა დედამიწაზე სპეციალური მიკროტალღური ან ლაზერული გადამცემებით მოხდებოდა. მთვარის ასეთ ელექტროსადგურს, თეორიულად, შეუძლია, წელიწადში 13 ათას ტერავატ ენერგიაზე მეტი აწარმოოს. შედარებისთვის, აშშ-ში, 2011 წელს, დაახლოებით, 4 ათასი ტერავატი ელექტროენერგია გამოიმუშავეს. რთული არ იქნება იმის გამოთვლაც, რომ მზის პანელებიანი ასეთი სარტყელი, ყოველგვარი სირთულის გარეშე, მთელ კონტინენტებსაც მოამარაგებდა ენერგიით. მთვარეზე მზის ბატარეების ეფექტურობა რამდენიმე ასეულით მაღალია, ვიდრე დედამიწაზე და ეს იმის გამო, რომ ჩვენი პლანეტის თანამგზავრის ატმოსფერო გაცილებით შეთხელებულია. გარდა ამისა, შუქის გზაზე არავითარი წინაღობა არ არის – მთვარეზე ცა სუფთა და უღრუბლოა, თუმცა არის ერთი მინუსიც. საქმე ის არის, რომ პროექტის რეალიზება საკმაოდ ძვირი დაჯდება. საკმარისია წარმოვიდგინოთ, რამდენი კოსმოსური ექსპედიცია იქნება საჭირო მთვარეზე საჭირო რაოდენობის მზის პანელების განსათავსებლად. ამის მიუხედავად, იაპონური კომპანია მაინც აგრძელებს მუშაობას და პროექტის განხორციელების დაწყების ვადაც კი დაასახელა – 2035 წელი.

სისხლის დონორები დიდხანს ცოცხლობენ

როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ, სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცხოვრობენ. სისხლის ჩაბარების შემდეგ მათ ინფარქტების, ინსულტებისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ. ეს კი იმის გამო ხდება, რომ მავნე ნივთიერებები, რამაც შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ახერხებენ სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმი გაცილებით სწრაფად ახდენს განახლებას და გაახალგაზრდავებას. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს სისხლის ყოველი ჩაბარებისას გამოიკვლევენ ხოლმე, რაც საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ და უმკურნალონ. სისხლის ჩაბარებისას კი დაინფიცირების შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან დღესდღეობით ყველა ნორმალურ კლინიკაში ერთჯერად, სტერილურ საშუალებებს იყენებენ. ასე რომ, იყავით დონორი და ამით დაეხმარეთ არა მხოლოდ ავადმყოფებს, არამედ, საკუთარ თავსაც.

საუკეთესო ქვეყანა პენსიონერებისთვის

პორტალმა Our Life Plan-მა, ახალი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ის ქვეყნები დაასახელა, სადაც პენსიონერებს საუკეთესო ცხოვრება აქვთ. რეიტინგში პირველი არაბთა გაერთიანებული საემიროებია, მეორე ადგილზე – ავსტრალია, ხოლო მესამეზე – ისრაელი. სიის შედგენისას გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ბედნიერების რეიტინგი, ცხოვრების საფასური, საშუალო თვიური ხელფასი, საშუალო წლიური ტემპერატურა და წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა. ამ მაჩვენებლების მიხედვით, საემიროებში, საშუალო წლიური ტემპერატურა 27 გრადუსია, მზე წელიწადში 3508 საათი ანათებს – ამ და სხვა კრიტერიუმებით კარგი მაჩვენებლებით, ქვეყანა საუკეთესოდ დასახელდა პენსიონერებისთვის. საუკეთესოთა ხუთეულში შევიდნენ, ასევე, ბაჰრეინი და საუდის არაბეთიც. ევროპული ქვეყნებიდან პორტალი პენსიონერებს საცხოვრებლად კვიპროსს ურჩევს – იქ საკმაოდ მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, საშუალო ტემპერატურა წელიწადში 19.6 გრადუსია. გარდა ამისა, კუნძული ცნობილია თავისი პლაჟებით, რესტორნებით და ძველი ქალაქებით. სიის ათეულში მოხვდნენ ესპანეთი, მალტა, კოლუმბია და ტაილანდიც.

პლასტირი-კონტრაცეპტივი შექმნეს

ამერიკელმა სპეციალისტებმა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება პლასტირი სახით შექმნეს. მისი გამოყენება სუსტი სქესის წარმომადგენელს დამოუკიდებლად შეეძლება, პროფილური სპეციალისტის დახმარების გარეშე. სწავლულები აღნიშნავენ, რომ პლასტირის გამოყენების ვადაა ერთი თვე. მის ზედაპირზე განთავსებულია მიკროამპულები, რომლებიც განსაკუთრებული სინთეტიკური ნივთიერებით არის სავსე. პლასტირზე ზეწოლის შემდეგ, მიკროამპულები ორგანიზმში აღწევენ და ერთი თვის განმავლობაში შეჰყავთ პრეპარატი. ჯერჯერობით, სიახლე მხოლოდ თაგვებზე გამოსცადეს, თუმცა მისი ავტორები იმედოვნებენ, რომ კლინიკური ცდებიც მალე ჩატარდება.

წინდები საფრთხისგან დაგიცავთ

გამომგონებლებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, ახალი წინდები შექმნეს, რომელიც მის პატრონს დაცემისგან ან წაბორძიკებისგან დაიცავს. გარეგნულად წინდები არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან, თუმცა სიარულისას, მასში არსებული სპეციალური მასალა ფეხის თითებს ზემოთ სწევს. გარდა ამისა, წონასწორობისთვის წინდები სიმძიმის ცენტრის ქუსლისკენ გადანაცვლების ეფექტსაც ქმნის. ჯერჯერობით, სიახლე მხოლოდ პროტოტიპის სახით არის შექმნილი. თუკი ცდები წარმატებით ჩაივლის, უკვე ხუთ წელიწადში, ასეთი წინდები მაღაზიების დახლებზეც გამოჩნდება. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ასაკთან ერთად, ფეხის თითებიც სუსტდება, შედეგად, დაცემის რისკი უმნიშვნელოდ, არასწორ ზედაპირზეც კი საკმაოდ იზრდება. ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურის მონაცემებით, 65 წელს გადაცილებული ყოველი მესამე იაპონელი უბედური შემთხვევის მსხვერპლი წელიწადში, სულ ცოტა, ერთხელ მაინც ხდება.

ძვლის ქსოვილის შექმნა შეძლეს

შოტლანდიელმა და ირლანდიელმა სწავლულებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც ძვლების აღდგენაში დაეხმარება ადამიანებს, რომლებსაც კიდურის ამპუტაცია ელით. მკვლევარები სპეციალურ კამერაში უშვებდნენ რყევებს, 20 ნანომეტრის ამპლიტუდით. შედეგად, მათ შეძლეს მოწყობილობის შექმნა, რომელიც ნანოვიბრაციების გენერირებას ახდენს და ატარებს მათ კოლაგენის გელში მყოფ ღეროვან უჯრედებში. უჯრედებს შეუძლიათ დიფერენცირება ოსტეობლასტებად ანუ ძვლის უჯრედებად. ეს უჯრედები ქმნიან ძვლის ქსოვილს, რომელიც შემდგომ მოტეხილობებისა და დაზიანებული ძვლის ქსოვილის მკურნალობისთვის გამოიყენება. სწავლულები ამ მეთოდის გამოყენებას უახლოესი პერიოდისთვის გეგმავენ და ამ ქსოვილის დახმარებით, პაციენტისთვის ხელის მტევნის აღდგენას აპირებენ.

დედამიწას „შავი ყუთი“ ექნება

„მწვანე კონტინენტზე“, კუნძულ ტასმანიაზე, „დედამიწის შავ ყუთს“ დადგამენ. პროექტი წარმოადგენს ფოლადის კონსტრუქციას, რომელსაც მალე მყარი დისკებით აავსებენ. მათზე ჩაიწერება ინფორმაცია და სამეცნიერო მონაცემები დედამიწის პრობლემების შესახებ. ინფორმაციის შემნახველებზე ჩაწერენ ცნობებს კლიმატის ცვლილების, სახეობების გადაშენების, გარემოს დაბინძურების შესახებ. მონაცემებს მოათავსებენ კონსტრუქციაში, რომელიც მომავალი თაობებისთვის ერთგვარი არქივი იქნება. თუ კარდინალურად არ შევცვლით ცხოვრების წესს, კლიმატის ცვლილება და სხვა საფრთხეები ჩვენი ცივილიზაციის კრახს გამოიწვევს. დედამიწის შავი ყუთი, ამ კატასტროფის გზაზე, ჩვენს თითოეულ ნაბიჯს ჩაიწერს, – ნათქვამია პროექტის საიტზე.

მარტოობასაც უმკურნალებენ

ამერიკელი სწავლულები ახალი პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ, რომელმაც ადამიანის ორგანიზმზე მარტოობის ნეგატიური გავლენა უნდა შეამციროს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სოციალური იზოლაციის გრძნობა მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ის აქვეითებს იმუნიტეტს. გარდა ამისა, ქრონიკული მარტოობა დეპრესიას იწვევს და გულისა და ნეიროდეგენერაციული დაავადებების, ასევე კიბოს განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. გამოკითხვების მიხედვით, ზრდასრული ამერიკელების 22-დან 75%-მდე გამუდმებით მარტოსულად გრძნობს თავს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მკვლევარები ახალი პრეპარატის შექმნას შეუდგნენ, რომელიც ჰორმონ პრეგნენოლონს ეფუძნება. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, ამ ჰორმონისგან მიღებული წამალი თავის ტვინის იმ სფეროებს აწყნარებს, რომლებიც გარე საფრთხის აღქმას უკავშირდება. ამჟამად პრეპარატი კლინიკურ ცდებს გადის ჯანმრთელ, მაგრამ მარტოსულ მოხალისეებზე. ექსპერიმენტი გაისად, ზაფხულში დასრულდება.

უძილობა გაცილებით საზიანოა

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ახალი ექსპერიმენტისას, რომელშიც 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, დაადგინეს, რომ მოწევა, არასწორი კვება და ალკოჰოლის მოხმარება ადამიანის შრომისუნარიანობაზე უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს, ვიდრე ძილის უკმარისობა. ექსპერიმენტის მონაწილეთა ნაწილი, რომლებსაც დღე-ღამეში ექვსი ან ნაკლები საათი ეძინათ, გაცილებით ნაკლებპროდუქტიულები იყვნენ სამსახურებში, ვიდრე ის ჯგუფები, რომლის მონაწილეებსაც სრულფასოვანი ძილით ეძინათ. მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს კავშირი ადამიანის ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და სამუშაოს პროდუქტიულობას შორის და დაამტკიცეს, რომ ფინანსური სიძნელეები ნეგატიურად აისახება სამუშაოს ხარისხზე.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.